პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი, № 114 (12626) | ხუთშაბათი, 16 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩაქვის რაიონი. ფ. წითელაძის ბრიგადა პირველი შეუდგა ჩაის ფოთლის კრეფას სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში. წელს ბრიგადა იბრძვის 75 ტონა ჩაისათვის. სურათზე: ბრიგადის წევრი ნორა დოლიძე ჩაის კრეფის დროს.
ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადე დ. გოგოლაშვილი (მარცხნივ) და მისი პირველი დამხმარე პ. აბუაშვილი თვალს ადევნებენ მორიგი დნობის მსვლელობას.
ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა

მოსკოვის სამშენებლო ინდუსტრიის ექსპერიმენტული საწარმოები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი 14 მაისს გაანგარიშობდა დედაქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მიმდინარეობის გაცნობას.

მან ნაშუადღევს დაათვალიერა გლინული დეტალების ექსპერიმენტული ქარხანა, სადაც ამჟამად საექსპლოატაციოდ გადაიცემა ახალი მოდელის ბეტონის საგლინავი დგანი. ეს დიდწარმოებლური აგრეგატი შექმნა საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი ნ. ი. კოზლოვი.

ნ. ი. კოზლოვის კონსტრუქციის რამდენიმე ასეთი დგანი უკვე წარმატებით მუშაობს დედაქალაქში. ახალი მოდელის დგანი გამოირჩევა დიდი ტექნიკური სრულყოფით, მეტი მწარმოებლურობითა და უნივერსალობით. ამ დგანზე შეიძლება გაიგლინოს საკედლე პანელები, გადახურვის პანელები, სხვადასხვა სახურავი ფილები როგორც საბინაო მშენებლობისათვის. ისე საწარმოო ნაგებობებისათვის. აგრეგატის წლიური მწარმოებლურობა — 500 ათასი კვადრატული მეტრი პანელია, რომელებთაც შეიძლება დავამონტაჟოთ 100 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

120 მეტრი სიგრძის ვეებერთელა აგრეგატი მთლიანად ავტომატიზებულია. მას მხოლოდ 8 კაცი ამუშავებს ცვლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოსვლა რომ შეიტყეს, საწარმოს ახლოს შეიკრიბა ამ რაიონის მცხოვრები ასობით მოსკოველი. ყველა ისინი მხურვალედ მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

დგანის დათვალიერების დროს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ახსნა-განმარტებას აძლევდა აგრეგატის კონსტრუქტორი ნ. ი. კოზლოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მოელი რიგი რჩევა-დარიგება მისცა და სურვილები გამოთქვა. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა საშენი დეტალების კეთების დროს უზრუნველყოფილი იყოს კონვეიერული ტიპის ნაკადური ტექნოლოგიის პრინციპი, ისე რომ ქარხანა უშვებდეს სავსებით გამზადებულ ნაკეთობებს საჭირო კომპლექტით. ქარხნის მიერ ნაკეთობის მთლიანად გამზადება, აღნიშნავს ნიკიტა სერგის-ძე, გაათავისუფლებს მშენებლებს მოსაპირკეთებელ სამუშაოთა შესრულებისაგან, კერძოდ, ისეთი შრომატევადი სამუშაოსაგან, როგორიც არის შპალერის გაკვრა ბინებში.

ნ. ს. ხრუშჩოვს მოახსენეს, რომ მოსკოვში უკვე ორ წელზე მეტია ფიქმის ყველა საცხოვრებელი სახლის სახურავს აკეთებენ ასეთ დგანზე გაგლინული ფილებით. ამის შედეგად ბევრი რკინა იზოგება. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ რკინაბეტონის ფილების სახურავს აქვს სხვა უპირატესობაც, კერძოდ, დიდხანს ინახება და ცეცხლგამძლეა.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო სხვადასხვა სახეობის მზა დეტალებს — 32 სანტიმეტრი სისქის კერამზიტ-ბეტონის პანელს, რომელიც ის იყო დგანიდან გადმოიღეს, სხვადასხვა გადახურვის ფილებს, მრავალფენოვან წევრი ამხანაგი პინ ჯენი უხელმძღვანელებენ დელეგაციას, რომელიც მოსკოვს გაგზავნება ორ პარტიას შორის მოსაპარაკებლისათვის. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებაა, რომ ამ მოლაპარაკების თარიღი გადაიდოს ამა წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის. საუბრის დროს ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ უთხრა ამხანაგ ს. ვ. ჩერვონენკოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 30 მარტის წერილზე პასუხი გაიგზავნება მოგვიანებით.

11 მაისს სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით გადასცა ჩინელ ამხანაგებს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მადლობას უძღვნის ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ცნობისათვის, რომ ეთანხმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას მოეწყოს ორივე პარტიის წარმომადგენელთა ორმხრივი შეხვედრა მოსკოვში. რაც შეეხება ამ შეხვედრის მოწყობის ვადას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება ჩინელი ამხანაგების წინადადებას, რომ არ მოეწყოს ჩვი მაისში. იმასთან დაკავშირებით, რომ ივნისი გადატვირთულია ადრე დაგეგმილი ღონისძიებებით, მათ შორის საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებითაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებაა დაინიშნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა ამა წლის 5 ივლისს, ეუ ეს მისაღები იქნება ჩინელი ამხანაგებისთვისაც.

მიმდინარე წლის 14 მაისს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატმა ამხანაგმა იან შან-ჟუნმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხანაგ უ სიუ-ციუანის დასწრებით მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით აცნობა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართოს 1963 წლის 5 ივლისს მოსკოვში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობა ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგი ს. ვ. ჩერვონენკო.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობას, რომელსაც ნ. ი. კოზლოვი მეთაურობს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა მეტრომშენის რკინაბეტონის ტიუბინგების საწარმოო ექსპერიმენტულ საამქროში.

მეტრომშენის ინჟინერთა ჯგუფმა შეიმუშავა წყალშეუღწევადი დიდგამძლე რკინაბეტონის ტიუბინგების წარმოების ორიგინალური მეთოდი.

საამქროს დათვალიერების დროს ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ მეტრომშენის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. დ. პოლეფაევი და მეტრომშენის მთავარი ინჟინერი ნ. ს. სმეტანინი. მათ აღნიშნეს, რომ მეტროპოლიტენის მშენებლობის დროს მოსკოვური წესით რკინაბეტონის ტიუბინგების გამოყენებით დაიზოგება ბევრი სახსრები და ასეულ ათასობით ტონა ლითონი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დადებითად შეაფასა რკინაბეტონის წარმოების ხერხი, რომელიც მეტრომშენებლებმა შექმნეს და ხაზი გაუსვა, რომ ეს ხერხი უნდა გამოვიყენოთ დიდგამძლე დეტალების საწარმოებლად. მაგალითად, საგზაო მშენებლობაში. შეუწყნარებელია, ამბობს ნიკიტა სერგის-ძე, რომ ჩვენ საგზაო მშენებლობაში ხშირად ვიყენებთ გრანიტს, რომელიც რამდენჯერმე უფრო ძვირად უჯდება ჩვენს ქვეყანას, ვიდრე რკინაბეტონის ნაკეთობანი.

საწარმოთა დათვალიერების დროს ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დ. ფ. უსტინოვი. სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე ვ. პ. აბიზოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ე. ბერიუკოვი და სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე, მოსკოვის მთავარი არქიტექტორი მ. ვ. პოსოხინი. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

დასავლეთ გერმანიის ფირმის „კრუპის“ მენერალური რწმუნებული ბერტოლდ ბაიტცი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 14 მაისს კრემლში მიიღო დასავლეთ გერმანიის ფირმის „კრუპის“ გენერალური რწმუნებული ბერტოლდ ბაიტცი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მოწვევით, და საქმიანი საუბარი ჰქონდა მასთან.

ფიდელ კასტროს საბჭოთა კავშირში

სვერდლოვსკი. 14 მაისს მოეწყო კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს და სხვა კუბელი მეგობრების მეგობრული, ამხანაგური შეხვედრა სვერდლოვსკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. რუდაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

ფიდელ კასტრო და მისი ამხანაგები გულითადად ესაუბრნენ საბჭოთა მეგობრებს. მათ ილაპარაკეს ამ ორი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე, განიხილეს სახალხო-სამეურნეო მშენებლობის საკითხები. ფიდელ კასტრომ გაუზიარა დამსწრეთ შთაბეჭდილებანი საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში იგი ყველგან ხვდება ხალხს, რომელიც გაერთიანებულია კომუნისტური პარტიის გარშემო, უდიდესი რწმენით ეკიდება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და უსაზღვრო ნდობით — ნ. ს. ხრუშჩოვს.

შეხვედრამ წრფელი გულითადობის, უშუალობისა და ამხანაგობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სვერდლოვსკი, 15 მაისი. (**საკდესის კორ.**). დღეს დილით სვერდლოვსკის ათასობით მცხოვრებმა გულითადად გააცილა კუბის ეროვნული გმირი ფიდელ კასტრო და მისი თანამგზავრები.

მომავალთ სიტყვით მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ი. მურავიოვმა.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რომელსაც შეხვდნენ მხურვალე ოვაციითა და შეძახილებით „ვივა კუბა!“ „ვივა ფიდელ!“

— ძვირფასო სვერდლოვსკელებო! — ამბობს იგი, — საბჭოთა კავშირში ჩვენი მოგზაურობის დროს, ყველა ქალაქში, სადაც კი ვიყავით, ყველგან ჩვენს დელეგაციას კარგად, მეგობრულად, გულითადად ხვდებოდნენ... ჩვენ გავეცანით თქვენს მშვენიერ ქალაქს, დიდებულ ხალხს, გავეცანით საბჭოთა პროგრესის ნამდვილ ბასტიონს. ჩვენ გავეცანით შესანიშნავი პარტიული მუშაობის კიდევ ერთ მაგალითს. ჩვენი მეგობრობა საუკუნოდ იცოცხლებს.

ლენინგრადი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს აქ სპეციალური თვითმფრინავით სვერდლოვსკიდან ჩამოვიდა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი და რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი.

კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლენინგრადის აეროპორტში თავისუფალი კუბის ბელადის შესახვედრად ჩამოსულიყვნენ ყარების სამტრო ყარაულები. ზეიმოვნად გაისმა კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ლენინის ქალაქის მცხოვრებთა სახელით ამხანაგ ფიდელ კასტროს და მის თანამებრძოლებს მხურვალედ მიესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. ისაევი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა ლენინგრადელებს გულითადი მიღებისთვის.

— ამ წუთსა და ამ დღეს ანასოდეს არ დავიივიწყებთ, — თქვა ამხანაგმა კასტრომ. — ლენინგრადი ჩვენთვის განსაზოგადეს ყოველივე ამის, რაც საბჭოთა ხალხს ისტორიაში ჩაუწერია. ეს რევოლუციის აკვანია, საიდანაც ლენინი და ბოლშევიკური პარტია წაუძღვნენ რუსეთის პროლეტარიატს ხელისუფლების მოსაპოვებლად, ეს არის ქალაქი, რომელიც მედგრად იცავდა თავს და დაიცვა ყველა რევოლუციური მონაპოვარი, მოიგერია ეერიშები, ქალაქი, რომელმაც 900 დღის ბლოკადას გაუძლო დიდი სამამული ომის დროს, ქალაქი, რომელშიც დღეს კომუნიზმი შენდება. ჩვენ, მთელი მსოფლიოს რევოლუციონერებს, ჩვენს წმიდათა წმიდა ადგილად მიგვაჩნია ლენინგრადი. სწორედ ასეთი გრძნობით ჩამოვედით ლენინგრადში. ჩვენი ვიზიტი ხანმოკლე იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მოგონებანი ლენინგრადზე სამარადისოდ დაგვრჩება ხსოვნაში.

ათასობით ლენინგრადელი გამოსულა ქუჩებში, რომლებიც გამოიარა ტუმრების მანქანების კორტეჟმა აეროდრომიდან. ლენინგრადელები სულითა და გულით მიესალმებოდნენ გმირი კუბელი ხალხის წარმოგზავნილებს.

საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1963 წლის 30 მარტს წერილი გაუგზავნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. წერილი შეიცავდა წინადადებას, რომ მოეწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა მოსკოვში 1963 წლის 15 მაისს.

მიმდინარე წლის 9 მაისს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგი ს ვ. ჩერვონენკო და ესაუბრა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოლაპარაკების საკითხზე. ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ სთხოვა ამხანაგ ს. ვ. ჩერვონენკოს გადასცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი დენ სიაო-პინი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ამხანაგი პინ ჯენი უხელმძღვანელებენ დელეგაციას, რომელიც მოსკოვს გაგზავნება ორ პარტიას შორის მოსაპარაკებლისათვის. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებაა, რომ ამ მოლაპარაკების თარიღი გადაიდოს ამა წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის. საუბრის დროს ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ უთხრა ამხანაგ ს. ვ. ჩერვონენკოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 30 მარტის წერილზე პასუხი გაიგზავნება მოგვიანებით.

11 მაისს სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით გადასცა ჩინელ ამხანაგებს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მადლობას უძღვნის ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ცნობისათვის, რომ ეთანხმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას მოეწყოს ორივე პარტიის წარმომადგენელთა ორმხრივი შეხვედრა მოსკოვში. რაც შეეხება ამ შეხვედრის მოწყობის ვადას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება ჩინელი ამხანაგების წინადადებას, რომ არ მოეწყოს ჩვი მაისში. იმასთან დაკავშირებით, რომ ივნისი გადატვირთულია ადრე დაგეგმილი ღონისძიებებით, მათ შორის საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებითაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებაა დაინიშნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა ამა წლის 5 ივლისს, ეუ ეს მისაღები იქნება ჩინელი ამხანაგებისთვისაც.

მიმდინარე წლის 14 მაისს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატმა ამხანაგმა იან შან-ჟუნმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხანაგ უ სიუ-ციუანის დასწრებით მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით აცნობა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართოს 1963 წლის 5 ივლისს მოსკოვში.

ალმოჩენილია უჩვეულო გამოსხივება

პულკოვო, 14 მაისი. (**საკდესის კორ.**). პულკოვოს რადიოასტრონომთა ახალი გამოკვლევების ობიექტი გახდა იუპიტერი — მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა.

— ჩვენი დაკვირვებების პირველმა სერიამ, — მოგვიყვა პულკოვოს უნიკალური რადიოტელესკოპის დახმარებით განხორციელდა, მეტად ძვირფასი შედეგები მოგვცა, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომელმა ი. ნ. პარიისკიმ. — ამას ხელი შეუწყო იუპიტერიდან მიღებული ძალზე სუსტი რადიოსიგნალების სარეგისტრაციო მაღალგრძნობიერმა მიმღებმა, რომელიც პულკოვოში შეიქმნა. სრულიად მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ იუპიტერს აქვს ანომალური გამოსხივება.

წარმატებით დაგვირგვინდა აგრეთვე ცდა, გამოგვეკვლია იუპიტერის ირგვლივ რადიაციის სარტყელების გამოსხივების ხასიათი სამსანტიმეტრიან ტალღებზე.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა 1963 წლის I კვარტალის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

15 მაისს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა, და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც შეაჯამეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა **1963** წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა 1963 წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების მასალები, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივმა სამმართველოებმა, ტრესტებმა და პროფკავშირთა შესაბამისმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა წარმოადგინეს, და აღნიშნეს, რომ საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოთა და მშენებლობათა მშრომელებმა ფართოდ გაშალეს ხაპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და ახალი წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, გადააჭარბა რა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს 12 პროცენტით.

ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის დაწესებული გეგმა შესრულებულია. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღწეულმა ზეგეგმიმა ეკონომიამ შეადგინა დაახლოებით ორი მილიონი მანეთი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობას დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომ ყველა საწარმომ უზრუნველყოს ელექტროენერგიის ხარჯვა დაწესებული ნორმების ფარგლებში. (საკდესი).

ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გაზრდებისათვის სამრეწველო საწარმოთა 1963 წლის I კვარტალის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს შედეგები საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა **1963** წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრებისა ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის და აღნიშნავენ, რომ მომუშავენი ამისა და ყაირათიანობისათვის ფართოდ გაშლილი შეჯიბრების შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა დაზოგეს 16 მილიონ კილოვატ საათზე მეტი ენერგია.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში **1963** წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიანიჭეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის, თბილისის № 1 ღვინის ქარხნისა და თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივებს.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭათ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათაშენებელი ქარხნის, გაგრის სატყეო მეურნეობის, ქარხანა „თბილსელსაწყოს“, თბილისის საკონდიტრო კომბინატის, წულუკიძის ამრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის, რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივებს.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს, ბათუმის ქარხანა „ელექტროკარის“, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ოვჯალის მინის ქარხნის, ქუთაისის ხილის წვენის ქარხნის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, საბურთალოს ჟურნის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებს მიეკუთვნათ მეორე ფულადი პრემია.

მესამე პრემია დაიმსახურეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის „დასავლეთის“ შახტის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის, ჩითახევის ბეესის, ბორჯომის მინის ქარხნის, თბილისის მარმელადის ფაბრიკის, ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, ცხაკაიას კირის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ 89 საწარმომ ვერ შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა, და დაისახა ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიში მეტალურგიულ ქარხანაში

რუსთავი, 15 მაისი, (საქდესი). საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი პარტიის საიმედო დასაყრდენია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. პროფესიული კავშირები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აწევნიან ბრძოლას სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა პროფკავშირების როლი პროფკავშირთა XII ყრილობის შემდეგ, რომელიც 1959 წლის მარტში გაიმართა.

14 მაისს ქალაქ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში მეტალურგიული ქარხნის მუშაკებმა მოისმინეს საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის პროფკავშირული აქტივის კრება განხსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ქუთელიამ.

მოხსენება — საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობის შემდეგ — გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მ. მ. ლელაშვილმა. მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, რომ მტკიცედ ვითარდება მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რომ ავლენენ და ამოქმედებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ დიდ რეზერვებს.

ამხ. ლელაშვილმა აღნიშნა მთელი რიგი დადებითი მხარეები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის საქმიანობაში და მიუთითა ნაკლოვანებებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ ქარხანაში საკმაო ბრძოლა არ მიმდინარეობს საწარმოო ტრავმატიზმის წინააღმდეგ, რესპუბლიკის ახალგაზრდა ქალაქში ცუდად სრულდება საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა, პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველთვის სათანადო ინიციატივასა და სიბეჯითეს ვერ იჩენენ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შრომის კანონმდებლობის შესრულებას.

კრებაზე საქმიანი შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ საგლინავი საამქროს ზეინკალი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ნარიმანიძე, მარტენის საამქროს მეფოლადე ს. საყვარელიძე, ქარხნის დირექტორის მოადგილე ბ. ლობეანიძე, ქარხნის ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციის „განთიადის“ საბჭოს თავმჯდომარე ი. ცინცაბაძე, ცვლის უფროსი, თბილელექტროცენტრალის პროფკავშირის საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯაგაშვილი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კობაძიძე.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს საქმიანობა და დასახა ღონისძიებანი პროფკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისათვის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. მიღებულია გადაწყვეტილება გაიშალოს ბრძოლა სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კრებაზე მიღებულია

პარტიული ცხოვრება

შრომა ადამიანის ფრთებია

ბუნება საგაზაფხულო სამოსელით შეიმოსა. ხალიჩას დაეშსგავსა ტირიფონის ველი. მწვანედ ხასხასებენ ჯეჯილები, ნაწვიმარ ხნულს ობშიაური ასდის. ყვავილობა დაამთავრა ატამმა, გარგარმა, ალუჩამ, ბალმა, და ნაყოფით დაიხუნძლა ოქროები. ყვავის ვაშლი, კომში, მსხალი...

ხოდაბენებში ბუღრაობენ „რკინის ხარები". შორს ისმის მოტორების გუგუნი, ბალ-ვენახებში გამოფენილი ხალხის ხმაური, და ასე გგონია ტირიფონის ველი ალაპარაკდაო.

მინდვრად გაჩაღებულია შრომა. სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანს იოსებ რაზმაძეს ყოველთვის ხელთ აქვს ოპერატიული ცნობები მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობაზე. ეს ცნობები ნათლად მეტყველებს კოლმეურნეთა გამრჯე შრომის კარგ შედეგზე. პარტბიუროს მდივანი დამჯერებლად ლაპარაკობს იმ შრომით აღმავლობაზე, რაც კოლმეურნეთა შორის გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევამ. ყველა უბანზე სოციალისტური შეჯიბრების სათავეში კომუნისტები არიან. სიტყვამ მოიტანა და რაზმაძე ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასა და მასებთან მუშაობაზე გვესაუბრა.

შუადღე იქნებოდა. ბერშოლას ხევიდან სიომ დაბერა. ტირიფონის ველზე თბილმა, შეგუებებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო.

მეცხოველეობის ფერმებთან იოსები ვიღაცას გულიანად მიესალმა და ამბავი ჰკითხა:

— დღეს აცდენ სწავლას?

— საწარმოო გეგმაში რაღაც იყო დასაზუსტებელი და ჩამოსვლა აუცილებელი გახდა, იოსებ!

— აქ ვის უცდი?

— ბუხჰალტერ ვანოს. გორში, საწარმოო სამმართველოში მივდივართ!

ღია მწვანე ფერის „მოსკვიჩმა" ჩამოიარა. ის კაცი თან წაიყვანა. პარტბიუროს მდივანმა მასზე გვითხრა:

— აი ის ახალგაზრდა ამ ექვს-შვიდ წელში სულ ახალ ადამიანად ჩამოყალიბდა. რგებითი მსმენელი — პროპაგანდისტი გახდა; ამჟამად თბილისშია სამთვიან კურსებზე. წასვლამდე კოლმეურნეობაში დაწყებითი ტიპის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობდა.

— რა გვარია?

— ცერცვაძე, ოთარ ცერცვაძე. ზოოვეტინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად.

— კარგი პროპაგანდისტია?

— მისი წრე ყოველთვის სამაგალითოა! გეტყვით ერთ მაგალითს. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის წევრი სანდრო გაგლოშვილი დაწყებითი ტიპის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელ წრეში ჩაბმამდე პასიურობდა, საკოლმეურნეო საქმის სხვისად თვლიდა. წრეში სწავლამ იგი გონებამაქნილი გახადა. ახლა მის თვალს ნაკლოვანება შეუმჩნეველი არ რჩება. გაგლოშვილის გაქტიურებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროპაგანდისტ ოთარ ცერცვაძეს. იყო ასეთი ფაქტი: სახელმწიფოსათვის მისაყიდად სიმინდის ტაროს ავტომანქანაზე ხელით ტვირთავდნენ, მაშინ როცა ტრაქტორზე მოწყობილი დამტვირთავი, რომელსაც ნაკელს დასატვირთავად ვიყენებდით, უქმად იდგა. „არ შეიძლება სიმინდი ავტომანქანაზე ტრაქტორის დამტვირთავით დავუდოთ?" — წამოაყენა წინადადება გაგლოშვილმა. „შეიძლება". — მაშინვე დაეთანხმნენ გამგეობის წევრები. მარტო ერთმა — მეცხრე ბრიგადამ — სიმინდის დატვირთვის მექანიზაციით შრშან შემოდგომაზე ასამდე შრომადღე დაზოგა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამირან დემეტრაშვილს მინდორში შევხვდით. იგი ორმოც წელს მიტანებული ვაქკაცია, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი. ამანაც შეუწყო ხელი იმას, რომ რესპუბლიკაში პირველად ამ კოლმეურნეობაში აიდგა ფეხი შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის სახელგანთქმული ყუბანელი მექანიზატორის ვლადიმერ სვეტლიჩნის მეთოდმა. თავმჯდომარე ახლოს არის კოლმეურნეებთან, კარგად იცნობს თვითეულ მათგანს, იზიარებს მათს დიდ სიხარულსა და პატარა სატკივარსაც. ერთხანს ტრაქტორისტებმა მიხეილ მაისურაძემ და შალვა ნასყიდაშვილმა გული აიყარეს კოლმეურნეობაზე, გარე სამუშაოზე წასვლა არჩიეს. ამირანი მაშინვე მიეხვდა მათ. გამოჰკითხა, რა იყო მათი ასეთი მოქმედების მიზეზი.

„იქნებ გამგეობა ხელს ვერ გიწყობთ და არ გეხმარებათ? გვითხარით პირდაპირ, ეს ჩვენ არ გვეწყინება. ისე კი უნდა გირჩიოთ, რომ მშობლიურ კოლმეურნეობას უფრო მეტად შეგიძლიათ გამოადგეთ".

დემეტრაშვილს დაუჯერეს მიხეილ მაისურაძემ და შალვა ნასყიდაშვილმა, კოლმეურნეობაში აქტიურად დაიწყეს მუშაობა. ახლა ისინი შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან.

კოლმეურნეობაში ახლის, პროგრესულის დანერგვის მოთავეა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე. ამ ჯმუხ, ჯანმაგარ ჯაბუას ზედდულეთელი კოლმეურნეები „მიწის მბრძანებელს" ეძახიან.

ყოველწლიურად მეტ და მეტ ფართობს იპყრობს „მიწის მბრძანებლის" შტაბის — სატრაქტორო ბრიგადის ტექნიკა. წელს მთელ ფართობზე — 60 ჰექტარზე — შაქრის ჭარხალს მექანიზებული რგოლი მანქანებით მოუვლის ხელის შრომის გამოუყენებლად. ცენტნერი ჭარხლის თვითღირებულებას 50 კაპიკამდე დაიყვანენ. ამასთან სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად დათესავენ 100 ჰექტარზე და მას კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებენ.

მოწინავე მექანიზატორის გიორგი ცერცვაძის ნათქვამს ბეჯითად ასრულებს სატრაქტორო ბრიგადის თვითეული წევრი. გიორგი ბიუებს, როგორც თვითონ ეძახის, ყოველთვის საქმის ცოდნით ელაპარაკება. სატრაქტორო ბრიგადაში ბევრი მოწინავე ტრაქტორისტია. ერთი იმთგანია კომკავშირელი ჯემალ მანძულაშვილი, რომელიც მუდამ ახლის ძიებაშია.

ამირან დემეტრაშვილმა შეიხსენა:

— ეს წინა კვირას იყო. კომკავშირელი ტრაქტორისტი სულიკო გიგაური, რომელმაც შარშან დაამთავრა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხიდისთავის სკოლა, „გორაკების" მიწის ფართობში მზრალად ხნულს დისკოებიანი „ლდ-10" ათიანით ომავდა. იქ კარგად გამოდიოდა საქმე, მაგრამ „გადაკრილების" ნაკვეთში რომ გადაინაცვლა, რადგან „გორაკების" მიწასთან შედარებით ეს ფართობი უფრო დასარეკლიანებული იყო, სარეველები უფნებელი რჩებოდნენ. ახალგაზრდა ტრაქტორისტი ვერ მიმხვდარიყო რა იყო ამის მიზეზი. ტრაქტორი გაჩერებინა და დანაღვლიანებული დაყურებდა ათიოლს. გიორგის არც კი უკითხავს მისთვის, ისე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ცერცვაძემ ტრაქტორისტს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „ასეთ შემთხვევაში უნდა შემცირდეს ათიოლის მოდების კანი, ამით დისკოების დახრის კუთხეც შეიცვლება და სარეველები ამოიყრება". მერე კი ათიოლის გაწყობაში დაეხმარა გიგაურს. სულიკო ტრაქტორის საქმე მიუჯდა. ბრიგადირის მითითების სისწორე ნათელი იყო.

სოფელი დიდად აფასებს მექანიზატორ გიორგი ცერცვაძის დაუღალავ შრომას. თანასოფლელებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამიტომ გიორგიც ცდილობს ვალში არ იყოს, საქმით გამამართლოს ეს დიდი ნდობა.

სოფელში მრავლად არიან ახალი ადამიანები. გამოელაპარაკებით თუ არა, მაშინვე მიხვდებით, რომ მათი სიტყვის ლექსიკონი დახვეწილი და ახლოთ არის შევსებული. ისინი აღარ ხმარობენ „ჩემი" ან „შენი", გეტყვიან: „ჩვენი". როცა კი საკოლმეურნეო ცხოვრების რაიმე საკითხზე ჩამოგდგებთ საუბარს, მოიმარჯვებენ სიტყვებს: „პერსპექტიული გეგმები", „საზოგადოებრივი ფონდები", „შრომის ნაყოფიერება", „პროდუქციის თვითღირებულება", „შრომითი და ფულადი სახსრები", „საწარმოო, ადმინისტრაციული ხარჯები", „მიწათმოქმედების ტექნიკა", „რეზერვები", „კომპლექსური მექანიზაცია"...

იმ დღეს, ზედდულეთში ყოფნისას, ასეთი სჯა-ბაასის მოწმე გავხდი.

ბინდდებოდა. შრომით მოღლილი კოლმეურნეები შინ ბრუნდებოდნენ. კოლმეურნეების ჯგუფს შუაში მიჰყვებოდა სუსტი აღნაგობის ფერმკრთალი კაცი. იმაზე მითხრეს: მემინდვრეობის მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელი ვასილ მაისურაძეა, მისი ბრიგადა კოლმეურნეობაში ყველაზე მოწინავე არისო.

— ძია ვასო, გვითხარი, პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული ბალების გაშენების დავალებას თუ ვასრულებთ?

— კითხა ერთმა ახალგაზრდამ.

— გადაჭარბებით!

— ეს კარგია, მაგრამ... — თითქოს ენაზე იკბინაო, ისე წარმოთქვა ახალგაზრდამ ეს ბოლო სიტყვა.

— მაგრამ რა, თქვი, ილო!

— აი ბალები ზოგან მეჩხერია. ეს ხომ ამცირებს მოსავლიანობას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას?

— მართალია! მართალია! — კვერი დაუკრეს აქეთ-იქიდან.

ახლა მეორემ ჰკითხა ბრიგადირს:

— იმას ვერ გვეტყვი, ჯეჯილში სასუქების მანქანით შეტანა რა ეკონომიურ ეფექტს იძლევა?

— გეტყვით, როგორ არა! სასუქის შემტანი მანქანა დღეში ასამდე მუშას ცვლის. ამასთან ათჯერ ნაკლები შრომადღეა საჭირო.

ჯეჯილების მექანიზებული წესით გამოკვებაზე სიტყვას მოჰყვა კოლმეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვაზე ლაპარაკი.

— მექანიზებულმა რგოლმა შაქრის ჭარხლის პლანტაცია მთლიანად დაიპყრო, — თქვა ბრიგადირის გვერდით მიმავალმა ჭაღარა კოლმეურნემ.

— დაიპყრო და ეგრე! — დაემოწმა მაღალ-მაღალი ჭაბუკი.

სხვებმა სხვა თქვეს.

— ჰაპარა საქმეა ცენტნერი ჭარხლის მოყვანის თვითღირებულების სამჯერ და მეტად შემცირება?!

— მერე და არ იტყვით ხელით შრომისაგან რამდენი კოლმეურნე განთავისუფლდა?

— ქალებს ხელები ჰქონდათ დაკოჭრილი სათესლე სიმინდის დაფხვნისას. ახლა ამას მანქანა ასრულებს.

ასე ბაასით გამოიარეს მთელი გზა მინდვრიდან სოფლამდე. სოფელში ყველამ თავის უბანს მიაშურა. ბაასიც აქ შეწყდა.

ყოველი დღე საქმიანი და შინაარსიანია ზედდულეთში. კომუნიზმს მშენებელ ამ ფრთაშესხმულ ადამიანთა აზრები და საქმეები პროექტორივით ახათებს მთელ სოფელს. ახათებს და კომუნისტური შრომისა და ცხოვრების მკაფიო მაგალითებს ავლენს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.
სოფელი ზედდულეთი. გორის საწარმოო სამმართველო.

ჩუხჩუხით მორბის პატარა მდინარე ვერა, ჩაუქროლებს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას და იქვე უერთდება დედა მტკვარს...

პატარა მდინარესავით მოვიდა ერთი ქალიშვილიც ფაბრიკაში. მოვიდა და ყველას ყურადღება მიიქცია.

რაისა ხინჩაგაშვილს მდინარე ვერის დანახვაზე თავისი, უხვი წყლებით ცნობილი სოფელი კოდისწყაროო გაახსენდა. გაახსენდა ბავშობა. უფროსები შრომობენ, სახელი და დიდება მოაქვთ საშობლოსათვის. უმცროსები კი სკოლაში დადიან, ბეჯითი სწავლით მშობლებს გულს უხარებენ.

აბრეშუმისმიან, ცისფერთვალება გოგონას დედამ შეაყვარა შრომა, ხელსაქმე. მისგან ისწავლა წინდის ჩხირებითა და ყაისნაღით ქსოვა. ეხმარებოდა დედას, მეზობლებს. ღამეებს ათენებდნენ ქსოვაში, ჩვენს მებრძოლებს უმზადებდნენ თბილებს...

შვიდი კლასი რომ დაამთავრა, პროფესიის არჩევაზე ფიქრი არ დაუწყია. ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი ფეიქარი გამხდარიყო. ამ განზრახვით მოვიდა ფაბრიკაში. მას შემდეგ არცთუ დიდი დროა გასული.

იგი ახლა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომუნისტური შრომის დ. ალიბეგაშვილის მქსოველია, ბრიგადის მოწინავე მქსოველია, სიყვარულითა და თავდადებით ქსოვს „საზეიმოს", „კაპრონს", „შიფონს". „საზეიმო" მართლაც რომ საზეიმოდ კარგი ჩასაცმელია, მაგრამ რთული ხლართები, ერთ დაზგაზე ორი მაქო, ორიგინლური სტრუქტურა დაუღლავ შრომასა და საქმის ცოდნას მოითხოვს.

არც „კაპრონისა" და „შიფონის" ქსოვაა დგილი.

— რაისა ჩვენს ბრიგადაში ყველაზე მოწინავე მქსოველია. ითვისა ყველა ასორტიმენტი. რთულ დაზგებზე უხდება მუშაობა. სამ დაზგას ემსახურება. ახლა არ იკითხავთ, როგორი მაჩვენებლები აქვს? გასულ წელს 16.500 მეტრი პროდუქცია გამოუშვა, გეგმა კი 12.000-ს ითვალისწინებდა.

წელს რთულ ასორტიმენტზე გადავიყვანეთ. აქაც ისახელა თავი. პირველ სამ თვეში 1.600 მეტრი მაღალი ხარისხის ქსოვილი მისცა წარმოებას, გეგმის ზევით 200 მეტრი მოქსოვა, რასაც ძირითადად ნედლეულის დაზოგვით, ნარჩენების შემცირებით მიაღწია.

დღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს, — სიხარულით გვიყვება ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ალიბეგაშვილი. — მარტო ეს რიდია მისი შრომის ნაყოფი. როცა ბრიგადიდან ვინმე ავად გახდება. რაისა 4-5 დაზგაზე მუშაობს, გეგმის შესრულებაში რომ არ ჩამოვრჩეთ. თავის ოსტატობას სხვებსაც უზიარებს, — განაგრძობს ბრიგადირი, — ნათელა ნადიბაიძემ და ანენა კაბულაშვილმა, დღეს რომ მოწინავეთა რიგებში დგანან, მისგან შეითვისეს ჩქაროსნული ქსოვის ტექნიკა.

მაუდ-კაბეოლის კომბინატის მქსოველთა ლ. ჯანანაშვილის ბრიგადის ინიციატივას პირველი ის გამოეხმაურა. [illegible] ბრიგადა მეუდგა პირველად ამის დანერგვას. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ნარჩენების შემცირების გზით წლის ბოლომდე გამოუშვას კიდევ 300 მეტრი მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილი, ხოლო დამხმარე მასალების რაციონალური გამოყენებით მიიღოს 1.500 მანეთი ეკონომია.

ჩვენ რომ მივედით, რაისა დაზგებს თავს დასტრიალებდა. მისკენ, არა სჯაჭვნია, მაგრამ ვინ იცის დღეში რამდენი სტუმარი ეწვევა. ამიტომაც მფოფინებ სუბარი ერთ ხედმეტ დაზგაზე მუშაობას ნიშნავს მისთვის.

ოაზგის ნაწილების რიტმულ მოძრაობასა და გუგუნში იხშობა ხმა. ჩანგადი ძლივს ასწრებს გაიჩეროს დაზგა, რომ იგი კვლავ გუგუნს იწყებს. თითები საოცრად ასწრებენ გამწყდარი ძაფების შენასკვას. ავტომატურად იხვევა მზა „კაპრონი", „შიფონი", „საზეიმო", და ახალგაზრდა ოსტატის ხელით ნაქარგი ქსოვილები დედამიწის ყველა კუთხისაკენ მიიკვლევს გზას.

რაისას ოცნებაა მისი „საზეიმო", „კაპრონი", „შიფონი" ყოველთვის ზეიმზე, დღესასწაულებზე ეცვათ ადამიანებს.

გ. მანია.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲚᲔᲒᲔᲜ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲖᲦᲣᲓᲔᲔᲒᲡ

ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ვიყავით და მისმა დირექტორმა გიორგი ბუთხუზმა ზვრებში წაგვიყვანა. სიმართლე გითხრათ, ამოდენა ზვარი არასოდეს არ მენახა. დაახლოებით ექვსას ჰექტარზეა გადაჭიმული ვენახები. ვაზები ჯარისაცებივით ჩამწერიგებულან. წეროვნისა და სამუხრანოს მინდვრებზე რქაწითელი და ჩინური, გორული მწვანე და პინო თავს იწონებენ. სასახარულოა, რომ მილიონობით ვაზი გაზარებულია უკანასკნელ ექვს-შვიდ წელიწადში.

—ტექნიკა რომ არა, ამოდენა ზვრებს ასე მალე ვერ გავაშენებდით, — თქვა გიორგიმ.

— რა თქმა უნდა, უმექანიზაციოდ და უმექანიზატორებოდ ამის მეათედიც არ გაკეთდებოდა.

— გუავთ კარგი ბიუები?

— გვყავს და მერე როგორი! მარტო ჩვენი პავლე რად ღირს!

— პავლე ვინ არის?

— ვინ არის და საქართველოს პირველი ტრაქტორისტი, ოქროს გულისა და ხელის ადამიანი.

ცოტა ხნის შემდეგ მეურნეობის სახელოსნოში ვიყავით, სადაც სახეგარეჯული ტრაქტორისტები დაშლილ ძრავს დასტრიალებდნენ. იქვე იყო მაღალი, ბეჭებში გაშლილი, მოდიმარი კაცი, რომლის ხელებსა და სახეს წლობით თავდადებული შრომის კვალი ეტყობოდა. ამ კაცმა ვეებერთელა ხელი გამოგვიწოდა და დინჯად გვითხრა:

— პავლე მხეიძე გახლავართ, საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

ჩამოჯექით, საუბარი გავაჩაღეთ, მაგრამ ალბათ იცით, რომ მექანიზატორები ძალიან უენო ხალხია. პავლეს ძლივძლივობით ვთქმევინეთ, რომ იგი ნამდვილად პირველი ტრაქტორისტია ჩვენს რესპუბლიკაში. ორმოცი-ოდე წლის წინათ დაამთავრა სპეციალური კურსები.

— ჩემთან ერთად კურსები დაამთავრა ოცდაერთმა კაცმა, — ამბობს პავლე, — საბჭოთა საქართველოში ტრაქტორისტის პროფესია პირველმა მიიღეს შაქრო ოსტაშვილმა, დავით სუმბათაშვილმა, ვასილ ბელეკეკინ, ანატოლი კიზირიამ, კლიმენტი ლეფავამ, დავით სამადაშვილმა, ვასილ ბერბიჭაშვილმა, დავით დანელიამ, ალექსანდრე ციციშვილმა და სხვებმა. მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში არასოდეს არ გაქრება ის დიდი სიხარული, როცა პირველად „ფორძონის" საჭეს მივუჯექი. თითქოს ახლაც ვგრძნობ იმ მანქანის დგანდგარს, რომელიც ისე შემიყვარდა, როგორც ცოცხალი არსება.

1925 წლის აგვისტოში, დავამთავრე თუ არა კურსები, მაშინვე მიმავლინეს ჩემი „ფორძონით" სოფელ კუმისში, სადაც პირველი სამანქანო ამხანაგობა შეიქმნა.

ტრაქტორის გამოჩენამ მთელი სოფელი შესძრა. ღარიბებს უხაროდათ, კულაკები ცოფს ყრიდნენ. ყანებში სახნავად რომ გავდიოდი, დიდი და პატარა თან მომდევდა. ერთხელ მახსოვს ტრაქტორი გაჯიქდა, ტალახში ჩაიფლო. ძრავი მუშაობს, თვლები ბრუნავენ, მაგრამ „ფორძონი" ადგილიდან არ იძვრის. ბობოლებს უხარიათ, ღარიბები წუხან. ოცდაორი წლის უმაწვილი ვიყავი, შემეძლო კამეჩისთვის მომეგრიხა კისერი. აი მაშინ გამოვცადე ჩემი ძალა, ერთი-ორი ბიჭი დავიხმარე და ტრაქტორის უკანა თვლები მაღლა ავწიე. ავწიე და გვერდზე გადავდგი. კვლავ აგუგუნდა ჩემი მანქანა და ისეთი კვალი წაიღო, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ გაიტანდა, უკან ათასი კაცი მოგვდევდა სიხარულისგან აღტაცებული.

ეს იყო პერიოდი, როცა „ფორძონი" და „ხოლტი" ეწოდნენ ახალი ცხოვრების აგიტაციას.

ერთი წლის შემდეგ ისევ თბილისში, სატრაქტორო კურსების ტექნიკური დახმარების ინსტრუქტორად დანიშვნეს, 1928 წლის სექტემბერში ავეინლელიანში (ყვარლის რაიონი) ჩამოვაყალიბე პირველი სატრაქტორო კოლონა, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

პავლე ჩაფიქრდა, ალბათ წარსულის მოგონებებმა გაიტაცა წლების სიღრმეში. ჩვენ კი დოკუმენტები გადავათვალიერეთ, რომლებშიც აღნუსხულია რესპუბლიკის პირველი ტრაქტორისტის შესანიშნავი ცხოვრების ქრონიკები.

სად არ ყოფილა პავლე თავისი „ფორძონით", „ხოლტით", „ინტერნაციონალით", სამამულო „პუტილოვეცით" „სტზ"-თი, „სტზ"-თი. იგი ხომ ჩვენი სატრაქტორო მრეწველობის ცოცხალი მატიანეა. გუშინდელივით ახსოვს ის დრო, როცა თავის მეგობრებთან ერთად აგუგუნებდა რკინის ხარებს დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში, სადაც საფუძველი ეყრებოდა ჩაის ახალ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. მინდა იცოდნენ ამიგვარელმა და გალელმა კოლმეურნეებმა, თავიანთი ჩაის პლანტაციებით რომ ხარობენ, რომ პლანტაჟი გაკეთებულია პავლესა და მისი ამხანაგების მიერ.

თუ ფანქარს მოვიმარჯვებთ და პავლეს მიერ გაწეულ მუშაობას შეეჯალმებთ, დავრწმუნდებით, რომ მას თითქმის იმდენი ფართობი აქვს მოხნულ-დამუშავებული, რამდენსაც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს.

მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის პავლეს ტრაქტორისტთა ახალი კადრების მომზადებაში. იგი იყო სატრაქტორო კურსების ხელმძღვანელი საქართველოს სხვადასხვა რაიონში, წლების მანძილზე მუშაობდა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ მექანიკოსად.

მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სწავლასთან ერთად მუშაობდა ამავე ინსტიტუტის მექანიზაციის საცდელ სადგურში მექანიკოსად. ეამაყება პავლეს, რომ მისი ხელმძღვანელობით გაიარა მექანიზაციის პრაქტიკა ბევრმა სტუდენტმა, რომლებიც შემდგომში კარგი სპეციალისტები გახდნენ.

პავლემ დიდი სამამულო ომის წლები მოიგონა. მოიგონა, ერთ ღამეს როგორ გამოათრია ცეცხლის ზონიდან ფაშისტმა ტანკი, როგორ დაიმახსოვრა წითელი ვარსკვლავის ორდენი.

გავიდა წლები. პირველი ტრაქტორისტი კვლავ მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. წამოეზარდნენ შვილები, უფროსმა გურამმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და სამეცნიერო მუშაობას მიჰყო ხელი. ქალიშვილი მარინე სტუდენტია, დიდი ხანი არ არის, რაც გათხოვდა. ბედნიერი მშობლები შვილიშვილს მოლოდინში არიან.

შარშან პავლეს დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა. მეგობრულ სუფრაზე შეიკრიბნენ ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები, წარმოითქვა მრავალი გულთბილი სიტყვა, კეთილი სურვილები. იმ დღეებში პავლეს ჭაბუკობის ძმაკაცი ვალიკო ღოღობერიძე სწერდა შორეულ ვიეტნამიდან:

— მე აქ გამომგზავნეს ტრაქტორისტების მოსამზადებლად ექვსი თვით. რომ ჩამოვედი, შეცვალეს კონტრაქტი, დამავალეს ბულდოზერისტების მომზადება. დროებით, სანამ გივი გეგელიძე ჩამოვიდოდა, ჩემი კურსანტებისაგან ჩამოყალიბდა სამი ბრიგადა. ერთის ხელმძღვანელი მე ვარ, მეორისა ნოდარ ჯმუხაძე. ხანოიში არიან აგრეთვე ირაკლი კავსაძე და ავთანდილ ნოზაძე.

მაინც რა ძლიერად იბარტყა ქართველ მექანიზატორთა იმ ფესვებმა, რომლებიც ამ ორმოცი წლის წინათ დაირგო.

ერთი ფესვთაგანი ხომ კომუნისტი პავლე მხეიძეა.

სანამ მეურნეობაში მექანიზებულ ფერმას არ მოვაწყობ, მანქანების სარეცხს არ გავმართავ და სახელოსნოში წყალს არ მოვიყვან, მანამდე ვერ დავისვენებ, ეს ხომ საქმის ღალატი იქნებაო, — ამბობს იგი და უმატებს:

— ჩემი გული მინდვრებშია, სწორედ მაგ ბალვენახებშია. სანამ ცოცხალი ვარ, აქედან ვერ წავალ.

თქვა და კვლავ აყვავებულ მიდამოს გახედა სიყვარულით.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ინჟინერ-მექანიკოსი პ. მხეიძე.

ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ

არც სოფელ საშბეროს მცხოვრებნი იტყვიან ძვირს სულხანს წითურზე, სოფლისა, სადაც პირველად აიდგა მან ფეხი და ამეტყველდა. ახლაც უყვარს თავისი სოფლის კალმით ნახატი ბუნება, ოღროჩოღორი ხვეული გზები, ყარმიდამო, თავის უდარდელ ბავშვობას რომ აგონებს. გული როგორ გაუძლებს, რომ ყოველ წელს რამდენჯერმე ძაინც არ ინახულოს მშობლიური მხარე. მაგრამ სულ სხვაა მისთვის ჩვენი დედაქალაქი. ამ ათი წლის წინათ ჩამოვიდა აქ იგი და თბილისს მდელვარე ცხოვრებას ეზიარა. თავისი ცხოვრების მომავალი ბედი დაუკავშირა თბილისის მშრომელთა კოლექტივს, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შრომობს კაცობრიობის ნათელი შენობის — კომუნიზმის ასაგებად.

სამუშაოს შოვნა როდი გაუჭირდა ახალბედას. თბილისის გვირაბმშენებლებს ამოუდგა გვერდში. ხელობა არ ჰკონდა. მაგრამ სამუშაოს შესრულება მიანდეს. არ ითაკილა. ბეჯითი მუშაობით მალე მიიქცია ყველას ყურადღება. პატივისცემით ეპყრობოდნენ, შრომას უქებდნენ სულხან წითურს. ამხანაგების ყურადღება ენერგიას მატებდა. ერთხელ მისი სურათი რომგორც ცოტა მოწინავე მუშისა, კედლის გაზეთშიც მოთავსეს.

ადამიანი როდი სჯერდება იმას, რაც იცის, ცდილობს მეტი ცოდნა შეიძინოს. ასეთია სულხანიც. ფიქრი აწუხებდა. მისი თანატოლები გამოცდილი ოსტატების წყალობით სხვადასხვა პროფესიას ეუფლებოდნენ. კალატოზობის შესწავლის სურვილი ჰქონდა, მისწრაფებას კი ვერავის უმეცლავნებდა, ვაი თუ უარი მითხრანონ.

ბედმა გაუღიმოთ, რომ იტყვიან, სწორედ ასე დაემართა სულხანს. ერთ დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, შეამჩნია გზად მიმავალი გვირაბმშენის ცნობილი კალატოზი რ. გიგოიანი. სულხანმა ნაბიჯს მოუჩქარა, წამოეწია და თავაზიანად მიესალმა.

— სულხანს გაუმარჯოს, — უპასუხა კალატოზმა და მკლავი მკლავში გაუყარა — როგორ ხარ, ბიჭო. ძალიან კი გაქებენ ამხანაგები, დაუღალავი მშრომელიაო. ყოჩაღ, ძმაო, მიყვარს შენისთანა გამჯეგ ახალგაზრდა!

სულხანს სახე აელანდა. გამოცდილ ხელოსანს სულხანის სიწითლე არ გამოეპარა.

— თავი რათ ჩაღუნე, ძმობილო, კარგზე კარგს იტყვიან, ავზე კი ავს. კი არ გეფერები, მართალს ვამბობ. ყველგან შენი ქება მესმის, შრომაც გაგვიბია და მარჯვენაც არ გღალატობს, საქმეში პირნათელი ხარ. ის უნდა წითლებოდეს, ვინც შრომას გაურბის, შენ რა გაქვს სასირცხო.

ეს სიტყვები მალამოსავით მოეცხო სულხანის გულს. კალატოზობის შესწავლის იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა.

— აი კალატოზობას რომ ისწავლიდე, კარგი მშენებელი იქნები. მერე და რამდენი რამ გაქვს საშენებელი. კარგი ოსტატები გვჭირდება. რას იტყვი, გინდა კალატოზი გახდე?

— მინდაო! ჩემი ფიქრი სწორედ ეგ იყო, თქმა ვერ გაგბედე, სურვილი კი მაქვს, — უპასუხა სულხანმა.

— კაცს თუ რაიმეს შესწავლის სურვილი აქვს, წინ არაფერი დაუდგება. კეთილი და პატიოსანი. მე თვითონ მოველაპარაკები უფროსებს. უარს არ იტყვიან.

დაშორდნენ ერთმანეთს ოსტატი და მომავალი შეგირდი.

გვირაბმშენის თავკაცებმა მოიწონეს სულხანის გადაწყვეტილება.

— აბა, ჩემო სულხან, მე ოსტატი და შენ შეგირდი. რაც მე ვიცი, შენ გასწავლი. ცოდნა იმიტომ აქვს ადამიანს, რომ სხვას გადასცეს. თუ თავისი ხელობა უყვარს კაცს, სხვისთვის სწავლას არ დაიშურებს. მე და შენ დღეიდან ერთად უნდა ვწეროთ შრომის ეღელი. ვაშენოთ, ძმაო. ხალხი მადლობას გვეტყვის, მომავალი თაობა პატივისცემით მოგვიგონებს და დაგვლოცავს.

ამ დღიდან დაიწყო ახალი ცხოვრება წითურმა. აკური რომ აგურს ემატებოდა, მისი გული ხარობდა. ოსტატის სწრაფი მუშაობა აოცებდა. პირველ ხანებში აგურის მიწოდებასაც ძლივს ასწრებდა ამ საქმეს მიუჩვეველი. ასე იყო პირველ დღეებში. მალე აუწყო თავისი შრომა ოსტატის სიმარდეს. ორივენი კმაყოფილი იყვნენ, ოსტატიც და შეგირდიც. კარგ ოსტატთან მუშაობა ახალისებდა. ოსტატს კი მისი შრომისმოყვარეობა სიამოვნებას ჰგვრიდა...

გავიდა სულ რაღაც ორი თვე. სულხანი ახლა უკვე თვითონ აწყობდა აგურს აგურზე, რომელსაც სხვები აწვდიდნენ. გამოცდილი კალატოზივით მოხდენილად ხმარობდა ქაფჩას, თარაზოსაც იშველიებდა. ოსტატი კმაყოფილი შეჰყურებდა შეგირდის ხელების რიტმულ მოძრაობას. სისწრაფეს, რაც ესოდენ საჭიროა ამ პროფესიის ადამიანისათვის. შეჰყურებდა და ტაბებოდა, რომ მომავალი ოსტატის ხელში დამორჩილებული აგურები სწრაფად და სიზუსტით ლაგდებოდა კედელზე, რომელიც სულ მაღლა მიიწევდა.

ეს იყო სულხანისათვის გამოცდის პირველი დღე, ყველაფერი კარგად დასრულდა, ოსტატმა შეგირდის ნაშუშევარი ფრიადზე შეაფასა. ხარჩოდან ჩამოსულ სულხანს ოსტატმა ხელი ჩამოართვა და გამარჯვება მიულოცა.

— ოსტატი ხარ, შვილო, ნამდვილი ოსტატი. ბევრისთვის გადამიცია ცოდნა და გამოცდილება, მრავალი კალატოზი აღმიზრდია, ზოგის სახელიც კი აღარ მახსოვს. ასეთია ოსტატის ხვედრი — ასწავლი კაცს, შვილივით შეიყვარებ, მერე კი, თავისას რომ გაიხადგამს, დაგშორდება. თავის ქებად ნუ მიიღებ და ჩემს აღზრდილებში მეორე არ მეგულება, ასე სწრაფად რომ აეთვისებინოს ხელობა, გულმართლად უთხრა გიგოიანმა ყოფილ შეგირდს, ახლა კი თანასწორ ოსტატს.

— არ დაგვიწყებ, ოსტატო, მშ

უკომპრომისოდ ხელოვნებაში

ბოლოდროინდელი ცხოვრებიდან

ჩვენ დიად დროში ვცხოვრობთ. იგი ვერ იწყნარებს კომპრომისებს. მაღალი პროდუქცია საჭიროა ყველგან — წარმოებაში, მედიცინაში... არაკეთილსინდისიერად გაკეთებული წამალი შეიძლება გაუარესოს ავადმყოფის მდგომარეობა. გამრიწეიოს სავალალო შედეგი. ხიდის არასწორ გაანგარიშებას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს. ხელოვნებაში კი? ხელოვნება ხომ ზუსტი მეცნიერება არ არის, მისთვის უცხოა ზედმიწევნითი გაანგარიშება. მაგრამ საქმე ეხება არა პირდაპირ ანალოგიას, არამედ ხელოვნის პრინციპებსა და პრინციპულობას, მის ისტატობას, კეთილსინდისიერებას, მომთხოვნელობასა და უკომპრომისობას, მისი „პროდუქციის“ ხარისხს. ხელოვნების პრინციპულობა, უკომპრომისობა — ეს არის ბრძოლა კონფორმიზმისა და უხამსობასთან, ყალბ ნოვატორობასთან, ყოველგვარ კომპრომისებთან ხელოვნების“ ასპპარეზზე, რომლებიც აბრკოლებენ მის განვითარებას, უბშობენ მას გზას მაყურებელთა გონებისა და გულისაკენ.

თეატრის მაღალი პრინციპულობა იწყება დრამატურგიით, რომელიც თეატრის საფუძველია, და ბევრ რამეში წინასწარ განსაზღვრავს თეატრის კოლექტივის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სწორედ ამ დარგში, დრამატურგიის დარგში, ყველაზე საშიშია გამოვლინება უპრინციპობისა და კომპრომისებისა, რომლებიც წარმოიშობიან არა მარტო როგორც იმის გარდუვალი შედეგი, რომ დრამატურგები ღრმად არ იცნობენ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს, არამედ აგრეთვე როგორც სურვილი, ლ. თ. ილიჩოვის სიტყვებით თუ ვიტყვით, რომელიღაც საშიალო თვალსაზრისზე მორიგებისა.

მე არ ვაპირებ ამ სტატიაში ანალიზი გავუკეთო ქართული დრამატურგიის ყველა გასაჭირის მიზეზებს, შეეხება მხოლოდ ერთ მათგანს, რომელიც, ჩემი აზრით, ფრიად არსებითია. საერთოდ ქართულ დრამატურგიას დღეს აკლია სიმამაცე, იმის უნარი, რომ დაინახოს და მხატვრულად ასახოს ჩვენი სინამდვილის პოზიტიური საწყისი, მისი გმირები საქმეთა სიდიადე. უკანასკნელ ხანს ვგონებ მხოლოდ ორ პიესაში — გ. ხუხაშვილის პიესა „ზღვის შვილებში“ და ო. იოსელიანის პიესაში „ადამიანი იბადება ერთხელ“ — ვხედავთ ჩვენი სინამდვილის ჰეროიკულ — ამაღლებული საწყისის ჩვენების ცდას. მაგრამ დასახელებული პიესებიდან პირველს ახასიათებს ერთგვარი ფრაგმენტულობა, მეორეს კი აკლია ოპტიმისტური ელფერადობა და ჰეროიკული თემა მასში მოცემულია თითქოს „არაკლილი“ შუქით. მთელ რიგ პიესებში კი შემოქმედების პათოსი შეცვლილია უარყოფის პათოსით.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნა იმის შესახებ, რომ შეიძლებელია ცალმხრივი იყო, როცა აკრიტიკებ, იკვლევ ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, მისთვის უცხო მოვლენებს. „ქირურგი სარგებლობს თავისი დანით, რომ მოჭრას მავნე ხორცმეტი და ზიანი არ მიაყენოს ორგანიზმს“, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში შეხვედრაზე, გაუტოლა რა შრომა ხელოვანისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ცალკეულ უარყოფის მოვლენებს აკრიტიკებს, ქირურგის შრომას, რომელიც მავნე ხორცმეტს ჭრის. მაგრამ ამ რთულ ოპერაციას რომ ასრულებს, ზოგიერთი ჩვენი დრამატურგი ივიწყებს ჯანსაღ ორგანიზმს, როცა სინამდვილის ცალკეული უარყოფითი მოვლენებისადმი ვიზომდა შეურიგებლობის გამო ზოგჯერ ხელაღებით განაზოგადებს მათ, ასაღებს ჩვენი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად ან ამ ცხოვრებაში კარგსაც და უარყოფითსაც, სწორად ესმოდეს ეს მოვლენები და სწორად აფასებდეს მათ და, სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებს რომ აკრიტიკებს, იბრძოდეს იმისათვის, რომ დამკვიდრდეს მოწინავე, მთავარი, ის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებაში.

ამ პრობლემების გადაჭრისათვის დრამატურგთან ერთად პასუხისმგებელია თეატრიც. დრამატურგდან თეატრის ბეჯითი, უკომპრომისო მუშაობა ხომ პიესის წარმატების ერთი უპირველესი პირობაა, კარგი, სრულფასოვანი სპექტაკლის დადების ჩინებული საწინდარია.

მაგრამ ვინ უნდა გახდეს არბიტრი იმ რთული პროცესებისა, რომლებიც თეატრის ორგანიზმის ცხოვრებაში ხდება? ვის უნდა ჰქონდეს განჭვრეტის ნიჭი, შემოქმედებითი ალღო, ნებისყოფა, პრინციპულობა, ზომიერება და ტაქტი? კრიტიკას, რომელსაც ჩვეულებრივად აბრალებენ ჩვენი ხელოვნების ყველა გასაჭირს? თუ სხვა ვინმეს? რა თქმა უნდა, კრიტიკასაც, მაგრამ მხოლოდ იმას კი არა...

ლ რამატურგს პიესა მიაქვს თეატრში. არსებული წესით პიესა მაშინვე გადაეცემა ხელმძღვანელობას (თუ ასეთი არის). მაგრამ უკანასკნელი, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის (უნდა ეკუთვნოდეს!) რეჟისორს, რომლის პროფესიული მოძთხოვნელობა მაღალია, რომელსაც სახოვნად აქვს წარმოდგენილი მომავალი სპექტაკლი, რომელმაც იცის და ესმის მისთვის მინდობილი თეატრის შემოქმედებითი ჰორიზონტი. რეჟისორს, თეატრის შემოქმედებითს ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს დიდი უფლება იყოს ამ ჰორიზონტის გამომხატველი.

რეპერტუარის აგება! რა ბევრ რეჟისორს განუცდია მარცხი სწორედ ამ, ყველაზე პასუხსაგებ უბანზე. რეჟისორს უნდა ჰქონდეს პიესის გამოხახვის, დრამატურგების „აღმოჩენის“ უნარი და მათი „აღმოჩენისას“ უნდა შეეძლოს დაეხმაროს მათ. მას უნდა შეეძლოს გამოიგონოს ზოგჯერ მოუწოფებელ დრამატურგიულ მასალაში მისი დადებითი, ჯანსაღი საწყისი, დიალექტიკის ენით რომ ვთქვათ, მისი რაციონალური მარცვალი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პიესა თეატრში უნდა იქმნებოდეს. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ამ აოასწორი, წინასწარ აკვიატებული აზრის მომხრენი, რომლებიც მხოლოდ ხლართავენ საკითხის არსს. პიესის კეთება დრამატურგთან ერთად სრულებითაც არ ნიშნავს პიესის წერას მასთან ერთად (ზოგიერთი რეჟისორი თავის გვარსაც კი აწერს დრამატურგის გვარის გვერდით!). პიესა იქმნება დრამატურგის ლაბორატორიაში. მაგრამ პიესის სიცოცხლე თეატრში იწყება, და სწორედ რეჟისორს ეკუთვნის „პირველადმოჩენის“ სპპატიო მისია. და როგორ არ უნდა გავიხსენოთ აქ ვ. ი. ნემეროვიჩ-დანჩენკო და კოტე მარჯანიშვილი! მათ არა მარტო იცოდნენ შერჩევა **თავიანთი თეატრალური კოლექტივისათვის საჭირო** პიესებისა, არამედ კიდევაც შეიცნეს დრამატურგების ამ „პირველადმოჩენის“ ხელოვნება. ეს კი ნაოდენ მნიშვნელოვანია თეატრისათვის!

ამაზე შეიძლება მითხრან, მაგალითები განსაკუთრებულია. მაგრამ სწორედ ამ განსაკუთრებულობაზე უნდა სწავლობდეს ღღეს ის, ვისაც სურს თეატრის ნამდვილი ხელმძღვანელი გახდეს. შეიძლებელია ნემეროვიჩ-დანჩენკოდ და მარჯანიშვილად გახდომა, მაგრამ მათგან პრინციპულობის სწავლა შეიძლება და საჭიროც არის. საიდუმლოს ის როდი წარმოადგენს, რომ ბევრ ჩვენს თეატრს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ზუსტი და მოფიქრებული სარეპერტუარო ხაზი. ზოგჯერ ხელს ჰკიდებენ პიესებს, რომლებიც უკვე საკმაოდ ცნობილი გახდნენ სხვა თეატრებში და ამ მხრივ „აპრობირებული“ არიან. ზოგჯერ დაუშვებენ ხოლმე შემთხვევითობის ელემენტებს პიესების შერჩევაში, ამცირებენ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და დრამატურგებისადმი. განა „შემთხვევითი“ არ არის ისეთი თეატრის რეპერტუარში, როგორიც რუსთაველის სახელობის თეატრია, ნუთუ პიესა „წვიმის გამყიდველი“ ან უ. პიბსონის „სასწაულმოქმედი“? ამ პიესების თვით ბასიათი, მათი საერთო იდეურ-ესთეტიკური არსი, მათი მხატვრული „ნიშნები“ ხომ არ შეესაბამება რუსთაველის სახელობის თეატრის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებს?

რეპერტუარი თეატრის სული და გულია, მისი პრინციპების უპირველესი გამომხატველია. ბევრი რამ დაწერილა ამაზე! და მაინც საჭიროა ეს კვლავ გაგიხსენოთ. მაგრამ რა პრინციპების დაცვაზე შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი, როცა მთელ რიგ ჩვენს დედაქალაქისა და რაიონულ თეატრებში მუდმივი რეჟისურა არ არის. რეჟისორები დიდხანს ვერ რჩებიან ერთ ადგილზე (განსაკუთრებით რაიონულ თეატრებში), ერთი თეატრიდან მეორეში გადადიან. თეატრის ძირითადი გასაჭირი ხომ სწორედ მაშინ იწყება, როცა რეჟისორი, შემოქმედებითს კოლექტივში რომ მიკა, არ იცნობს ამ კოლექტივის ნიშნებს, უნარი არ შესწევს თავისი, ინდივიდუალური დაჯაჭვიროს მთელი თეატრის ზოგადშემოქმედებითს მიზანდასახულობებს. ხომ მხოლოდ კოლექტივის ტრადიციებზე დაყრდნობის, მათი თავისებურების ღრმად შეგრძნების საფუძველზე შეიძლება ამ ტრადიციების წინწაწევა და განვითარება ახალი სცენური ფორმების გზაზე.

ამიტომ ხომ არ არის, რომ უზადოდ დაგეგმილი და ზუსტი მუშაობის მიუხედავად (შვიდი-რვა პრემიერა სეზონში, ამასთან მუდმივი პაოალელური მუშაობა ორ-სამ სპექტაკლზე და, მაშასადამე, მსახიობთა მუდმივი დატვირთულობა), გაწიცდის დღეს სიძნელეებს (არა ფინანსურს, არამედ შემოქმედებითს) თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი? თეატრი დგამს ყველაფერს: დოსტოევსკისასაც, მიღერსაც, რემარკასაც, ჰიბსონსაც, ოსტროვსკისაც, ქართველ დრამატურგებსაც, თანამედროვე რუს დრამატურგებსაც — როზოვს, არბუზოვს, ძმებს ტურებს... თითქოს წუნსაც ვეარფერს ადებდ. ისეთია სპექტაკლური ორო მოაგალფეროვნება! მაგრამ ეს მრავალფეროვნება ზოგჯერ სიჭრელედ იქცევა — კოლექტივში ახლად მისული თვითეული რეჟისორი ხომ ცდილობს დადგას ის, რის დადგმაც მას პირადად უნდა, არცთუ ძალიან ეუნეს ანგარიშს მთლიანად კოლექტივის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს, ამასთან ყველა პიესას, ერთმანეთს საერთოდ ძალიან დაშორებულს, თეატრი თითქოს ერთი გასაღებით თამაშობს. მსახიობები (მცირე გამონაკლისს გარდა) ყველა როლში თავიანთ თავს იმეორებენ, შემოქმედებითად ნაკლებად იზრდებიან, და ამიტომ სპექტაკლებს ხელსნურობის დაღი ახვია, ისინი ერთმანეთს ჰგავს.

ლაპარაკია პრინციპებსა და მომთხოვნელობაზე. არ შეიძლება უღალატო პრინციპებს. არ შეიძლება შეამცირო მომთხოვნელობა. და აქ საჭიროა არა მარტო გამოცდილება, არამედ სიფრთხილეც, იმის უნარი, რომ უმწიფარობა განასხვავო ხალტურისაგან, გამოუცდელობა უხამსობისა და მეშჩანობისაგან, დრამატურგიული ფუფუკობა დრამისშემკოწოწებლობისა „უზადობისაგან“.

რ ეჟისორი, როგორც გუშაგი თავის სადარაჯოზე, უნდა იცავდეს თეატრის ინტერესებს. საჭიროა სიმტკიცე. სამწუხაროდ, იგი ყველას როდი აქვს. და თუ პირველ კომპრომისს ის წარრომობს, რომ დრამატურგი საკმაოდ მომთხოვნი არ არის თავისი თავისადმი და მაღალ პრინციპულობას არ იჩენს, მეორე კომპრომისი წარმოიშობა მაშინ, როცა რეჟისორი კაიფიქრებს: „ოღონდ შემოსავალი იყოს!“ ეს მეორე კომპრომისი ესაა ძალიან გამძაფა თეატრში. და მისწრაფება ეგრეთწოდებული „შემოსავლის მომტანი“ პიესებისადმი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. თეატრებს ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ სერიოზულად ფიქრობს, რომ თეატრის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია „შემოსავლის მომტანი“ პიესებს. ამის გათვალისწინებით იქმნება რეპერტუარი. ასე გაჩნდა თბილისის თეატრებში „ჩარლის დეიდა“, „ფეხბურთელები“, „საზღვარგარეთული ჩემოდანი“, „მესამე სიტყვა“, „განძი“, „საუცხოო დღე“, „ორნი საქანელაზე“, „სასწაულმოქმედი“ — ეს სრულიადაც არაპირველხარისხოვანი რეპერტუარია, მხოლოდ შემოსავლის მიღებას რომ ისახავს მიზნად.

ვ ითომსავალი იყოს! — იფიქრა რეჟისორმა და თავის რეჟისორულ სინდისთან კომპრომისზე წავიდა. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება, ვინაიდან ერთი დათმობა გარდუვალად იწვევს მეორესაც. არ კმარა, რომ რეჟისორმა თეატრში სუსტი პიესა შეიშვა, ახლა შესაბამის ვითარებასაც უქმნის. მსჯელობა წარმოებს ამ პრინციპით: რეჟისორმა არაფრისაგან სპექტაკლი შექმნაო. ასე იბადება მესამე კომპრომისი. ასე ეძლევა დასაწყისი ცრუნოვატორობას — რეპროდუქტორებს, ხმებს. „ავტორისაგან“, მკვლევეთით აღდგენას და სხვა რეჟისორულ ფანდებს, რომლებიც რეტს ასხამს გამოუცდელ მაყურებელს, გარეგნულ, იაფფასიან წარმატებას იქმნის სპექტაკლს. საერთოდ კი თეატრი თანდათან კარგავს ავტორიტეტს მაყურებლებში.

კაცი თეატრში რომ მიდის, შინაგანი სიხარულის, სულიერი თრთოლვისა და სადღესასწაულო ალელვების გრძნობებს უნდა განიცდიდეს.

თეატრის ავტორიტეტი! ჩვენ ზოგჯერ გვავიწყდება ეს დიდმნიშვნელოვანი ცნება. თეატრი კათედრაა. თეატრი სკოლაა. თეატრი უნივერსიტეტია. ჩვენს მაყურებელს უკეთ ახსოვს ეს, ვიდრე თეატრების ზოგიერთ ხელმძღვანელს, იმიტომ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში იგი ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნების ძალად იდეალებზე იზრდებოდა. და ზოგჯერ რა სწორი არის ხოლმე მისი შეფასებანი — ფაქიზი დაკვირვებით აღსავსე, უშუალო და ბრძნული. რარიგ ცდილობენ თეატრები, როცა კომპრომისებზე მიდიან და წარმოუდგენიათ, თითქოს მაყურებლის გემოვნებას აკმაყოფილებენ! დიახ, მაყურებელი იცინის. ზოგჯერ მოხდება, რომ სისულელეც გაგაცინებს. მაგრამ, თეატრიდან რომ ბრუნდება, მაყურებელი უფიქრდება იმას, რაც ნახა. და ესმის, რომ სანახაობას არაფერი არ მიუცია მისთვის, სულიერად არ გაუმდიდრებია, სიცილი კი ფუქი იყო. არა, ჩვენი მაყურებელი გაცილებით უფრო ჰკვანია, უფრო მაღალი გემოვნებისა და მომთხოვნია, ვიდრე ჰგონიათ...

რთული პროცესები ხდება ჩვენი თეატრის ცხოვრებაში. და როცა ჩვენ ვამბობთ, არავითარი კომპრომისიო, ეს ნიშნავს — ვესწრაფოდეთ ოსტატობის მწვერვალებს, ვიბრძოდეთ ხელოვნების მაღალი იდეურ-მხატვრული პრინციპებისათვის, ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან მისი ნამდვილი სულიერი კავშირისათვის.

ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის სხდომაზე შემოქმედებითი ახალგაზრდობის მონაწილეობით ნათლად და მკაფიოდ იყო ნათქვამი: **„პარტია ცდილობს მიაღწიოს შემოქმედებითი ძალების გაერთიანებას პრინციპულ, და მხოლოდ პრინციპულ საფუძველზე“.**

ეს სიტყვები საბჭოთა თეატრის ყველა მუშაკსაც ეხება. მხოლოდ ბეჯითი შრომით, უშალავთო და უკომპრომისო შრომით, შთაგონებული, მგზნებარე, თავდავიწყებული შრომით შეიძლება მიეღწიოთ საბჭოთა თეატრული ხელოვნების ახალ სეროიზულ წარმატებებს. და თუ სტატია რამდენადმე მუქი ფერებით დაწერილი გამოჩენილა, (არ ვფლობ — იგი რამდენადმე ტენდენციურად აშენქება თეატრების ცხოვრების ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებსა და ჩრდილოვან მხარეებს), ეს სრულებითაც არ იხსნება იმით, რომ მსურდეს რაიმე მოვიმიზეზო ან გვერდი ავუარო იმ კარგსა და დადებითს, რაც ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში კეთდება.

თეატრები შრომობენ, ცდილობენ შემართება გამოიჩინონ, ეძიებენ, პოულობენ, გამარჯვების მოპოვების უნარი აქვთ.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ მოწმენი ვიყავით ორი თეატრალური დღესასწაულისა — მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა გვიჩვენა თავისი უკვდავი „ურიელ აკოსტა“, რუსთაველის სახელობის თეატრმა განაახლა „რეკვიემი“. როგორ სასიხარულო იყო იმის შეგნება, რომ ჩვენს სცენაზე დღესაც ცოცხლობენ ესოდენ საოცრად სხვადასხვა და ღრმად აღმაფრთოვანებელი სცენური ტილოები!

ს ასიხარულოა, როცა ვხედავთ, რომ თანამედროვე ქართული თეატრის სცენაზე იბადებიან მსახიობთა და რეჟისორთა ახალი თაობები, საუკეთესო ტრადიციების ღირსეული განმგრძობნი! როცა მათ კვერდით ბუმბერაზებივით დგანან ჩვენი დაუცხრომელი „მოხუცები“. როცა ა. ხორავა კვლავ სრული სიმძლავრით ასრულებს ბერსენევს. როცა ვ. ჭაბუკიანი ოტელოს ცეკვავს. როცა ს. ზაქარიაძემ თავის ხელოვნებაში არ იცის ძალღონის შეწირვის ზღვარი. როცა ა. ვასაძე და ვ. გოძიაშვილი ქმნიან რიჩარდის შთამაგონებელ სახეს. როცა ს. თაყაიშვილი შესანიშნავია ბებიის როლში. როცა მარად ახალგაზრდა ვ. ანჯაფარიძე თანაბარი ძალით თამაშობს ოვდოსსა და მეფეას... ასეთი აღმფრენაც არის ხოლმე. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვსურდა ყურადღება გავამახვილებინა ჩვენი თეატრალური ხელოვნების მტკივნეულ საკითხებზე.

ეთერ გუგუშვილი.

თავისუფლების კუნძულზე

ბაგანა, 14 მაისი. საკდესის კორესპონდენტი რ. ანიაზეევი იწერება:

რევოლუციური კუბა მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. მთელი კუბა ახლა გვაგონებს გიგანტურ მშენებლობას. ყველგან შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ახალი სკოლები და საცხოვრებელი სახლები, ახალი გზები.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობაში კუბის რევოლუციის აკვნის — ორიენტეს პროვინციის მშრომელებმა. ამას წინათ ქალაქ მანსანილიოს მახლობლად სახალხო მამულ „ბარტოლომე მასოში“ საზეიმოდ გაიხსნა მუშათა ახალი დაბა. აქ არის 250 თანამედროვე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. ყოველ მათგანში რამდენიმე ვრცელი ოთახია, სამზარეულო გაზქურით, წყალსადენი, კანალიზაცია, საბაბანო. დაბაში აშენდა სკოლა, რომელშიც ისწავლის 500 ბავშვი, და სავაჭრო ცენტრი.

ეს უკვე მეოთხე დაბაა, რომელიც რეგოლუციურმა მთავრობამ ააშენა მამულის „ბარტოლომე მასოს“ მუშებისათვის. მოკლე ხანში აქ აშენდა 1.200 საცხოვრებელი სახლი.

სიერა-მაესტრას მთებში, იმ ისტორიული ადგილის მახლობლად, სადაც თითქმის შვიდი წლის წინათ ფიდელ კასტროს მებრძოლთა პირველ ბრძოლებს აწარმოებდნენ დიქტატორ ბატისტას ჯარებისა და პოლიციის წინააღმდეგ, დამთავრდა დიდმნიშვნელოვანი ობიექტის — დიდი ხიდის მშენებლობა მდინარე იარაზე. ახალმა ხიდმა შეაერთა სიერა-მაესტრას მთების სოფლები და სასკოლო ქალაქი „კამილო სიენფუეგოსი“ ქალაქ ბაიამოსა და მთელ კუბასთან.

ასე გარდაქმნის ამერიკის პირველი თავისუფალი ტერიტორიის ხალხი თავის მშვენიერ სამშობლოს, სპობს ყველა დაბრკოლებას მშვენიერი სოციალისტური მომავლის გზაზე.

იტალიელი კომუნისტების ამოცანები

იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუცია

რომი, 13 მაისი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის წარმატება საპარლამენტო არჩევნებში ადასტურებს მისი პოლიტიკის ხაზის სისწორეს, ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუციაში, რომელიც გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნდა.

ბრძოლა, რომელსაც კომუნისტები აწარმოებდნენ საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს, მთლიანად შეესაბამებოდა ხალხის მასების მისწრაფებებს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტიის წარმატებასთან ერთად მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში შეინიშნება მერყეობა.

კომუნისტური პარტიის წარმატებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მისმა ბრძოლამ მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის, რომელიც შეესაბამება იტალიის მშრომელთა მისწრაფებებს. შეიქმნა ისეთი პირობები, აღნიშნულია რეზოლუციაში, რაც მოითხოვს, რომ „იტალიის მართვის საქმეში მონაწილეობა მიიღონ მძლავრმა ძალებმა, რომლებიც ახლა კომუნისტურ პარტიას მიპყვებიან“.

შემდეგ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კომუნისტები გამოდიან იტალიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, მოითხოვენ, რომ იტალიამ აქტიურად დაუჭიროს მხარი განიარაღების პოლიტიკას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მავნე ცდა

პარიზი, 14 მაისი. (საკდესი). „მილიტარისტული ექსპერიმენტი, რომელსაც ვხება მოაკეს კოსმოსური სივრცის შვიდოზიანი კვლევისათვის“ — ასე უწოდა იუნონ ფრანსეზ დ'ენფორმასიონის საგენტოს კომენტატორმა ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო-საზღვაო ძალების საქციელს, რომლებმაც მილიონობით სპილენძის ნემსი გაუშვეს კოსმოსში. ამასთან კომენტატორი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო-საჰაერო ძალებმა ანაფრად ჩაადგეს ერთსულოვანი პროტესტი, რაც მთელი მსოფლიოს მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ განაცხადა ამერიკის მიერ ნემსების გაშვების პირველი ცდის დროს.

როგორც ჩანს, განაგრძობს საგენტოს კომენტატორი, ამ პროტესტებმა ხელი არ შეუშალეს ამერიკის შეერთებულ შტატებს გამეორებინათ თავიანთი ექსპერიმენტი, რაც შეუძლებელს გახდის ან, ყოველ შემთხვევაში, გააძნელებს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ სიმაღლეზე, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან 3.200 კილომეტრს აღემატება.

ლენინური კურსით

„რუდე პრავო“ სწერს

პრაღა. 14 მაისი. (საკდესი). გაზეთ „რუდე პრავოში“ დღეს გამოქვეყნებულია მოწინავე სტატია, რომელიც მიეძღვნა პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის საკითხებს და პარტიის ამოცანებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ.

გაზეთი წერს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა განიხილა საკითხები პარტიული პრინციპების და სოციალისტური კანონიერების დარღვევისა პიროვნების კულტის პერიოდში და აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ღონისძიებებით დაბრკოლდა პარტიასა და მთელ ჩეხოსლოვაკიაში პიროვნების კულტის გავლენით გამოწვეული ყველა შედეგის ღრმა შესწავლა და აქტიური გადალახვა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე სიტყვა პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის შესახებ მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ გამოსწორებულია წარსულის ზოგიერთი უსამართლობა, ნათქვამია მოწინავეში. ეს არის განუყოფელი ნაწილი პარტიის გენერალური ხაზისა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის შემდეგ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი განმტკიცება სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ერთიანობის, იდეოლოგიური და კადრებთან მუშაობის გაღრმავებისა და მთელ პარტიაში ამხანაგური ურთიერთობის დაცვის ლენინური პრინციპების საფუძველზე.

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 15 მაისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება:

გუშინ, 15 საათსა და 15 წუთზე ნიუ-იორკის დროით, (22 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროთ) აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე, სპეციალური სესია.

სესიამ უნდა განიხილოს შუა აღმოსავლეთში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალებისა“ და კონგოში ეგრეთ წოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციების“ დაფინანსების საკითხი, აგრეთვე სხვა საკითხები.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო.

დელეგატები ირჩევენ რწმუნებათა შემოწმების კომიტეტსა და სესიის თავმჯდომარეს — პაკისტანის წარმომადგენელს ზაფრულა-ხანს, რომელიც თავმჯდომარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინა, მორიგ XVII სესიაზე.

ამტკიცებენ დღის წესრიგს: ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მოხსენების მიხედვით; ახალი წევრების მიღება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

ტუნისის წარმომადგენლის წინადადებით სესიამ გადაწყვიტა ფინანსური საკითხების განხილვა გადასცეს მეხუთე კომიტეტს (საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტი).

განიხილეს უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღონ კუვეიტი. რეკომენდაციას ერთხმად იღებენ. კუვეიტის დელეგაციად ადგილს იკავებს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში.

ახლა საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში III სახელმწიფოა.

ამერიკელი კოსმონავტების ფრენა დაიწყო

ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს 16 საათსა და ოთხ წუთზე მოსკოვის დროით კანაველერალის კოსცხიდან გაშვებულია ამერიკის კოსმოსური ხომალდი „ფეიტ-7“, რომელშიც იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი კოსმონავტი გორდონ კუპერი.

სტარტის 5 წუთის შემდეგ კოსმოსური ხომალდი, რომელშიც ამერიკელი კოსმონავტია, ორბიტაზე გავიდა. კოსმონავტი იუწყება, რომ ხომალდის აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

თვითნებობის აქტი

ბონი, 14 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ თვითნებობის მოიგი აქტი ჩაიდინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკაში მუშაობენ. 13 მაისს ღამით პოლიციამ გაჩხრიკა სადგომები, რომლებიც ამ ჟურნალისტებს უკავიათ. ბონში პოლიციამ დააპატიმრა ადნის საგენტოს, გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდისა“ და რადიოსადგურ „დოიჩლანდზენდერის“ კორესპონდენტები.

პოლიციელებმა გაჩხრიკეს აგრეთვე სადგომები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტებს უკავიათ დასავლეთ გერმანიის სხვა რაიონებში.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. პრაღის კრემლი (გრადი), დაარსებული 1.000 წელიწადზე მეტი ხნის წინათ. წინა პლანზე ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მხატვრის იოზეფ მანესის (1820-1871 წწ.) ძეგლი.

საკდესის ფოტოკორონიკა.

ტელეგრამა გვატყობინებს

● კასაბლანკაში (მაროკო) დიხურა მე-19 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყანამ. ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო ორი საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია „ტექნმრეწვიმპორტი“ და „საერთაშორისო წიგნი“. ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ბაზრობა დაათვალიერა დაახლოებით 400 ათასმა კაცმა.

● ოფიციალური მონაცემებით, აპრილში ავსტრალიაში იყო 84.625 რეგისტრირებული უმუშევარი.

● ამერიკის სატორვედო კატარღა 11 მაისს შეიგრა კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო წყლებში და ცეცხლი დაუშინა კორეის თევზსაჭერ გემს მდინარე სანკუს შესართავში (ხვანხეს პროვინციის უანენის მაზრა). სროლის ატეხის შედეგად მოკლულია სამი მეზადური, ეკიპაჟის დანარჩენი წევრები მსუბუქად დაიჭრნენ. გემი სერიოზულად დაზიანდა.

● ყოველდღიურად 30-35 კაცი იღუპება იაპონიის გზებზე. პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, წლის დამდეგიდან 12 მაისამდე საგზაო კატასტროფების მსხვერპლთა რიცხვმა მთელ იაპონიაში შეადგინა 4.013 კაცი.

● ნიუ-იორკი. ასოშიეიტედ პრესის საგენტო კარაკასიდან იუწყება, რომ ვენესუელამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ჰაიტისთან.

● პერუს პოლიცია თავს დაესხა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ლიმის რაიონულ განყოფილებას. პოლიციელები შეიჭრნენ შენობაში, მოახდინეს ჩხრეკა.

● კიტოში (ეკვადორი) გაიხსნა ეგრეთ წოდებული „ამერიკის ქვეყნების თათბირი „მშვიდობის საქმისათვის სურსათის პროგრამის საკითხებზე“. ეკვადორის დემოკრატიულ წრეებში თათბირს მიიჩნევენ ამერიკის შეერთებული შტატების მორიგ ცდად აიძულონ ლათინური ამერიკის ქვეყნები შეისყიდონ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტი მაღალი ფასებით და შეაფერხონ ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარება. (საკდესი).

მდგომარეობა სირიასა და ერაყში

ბეირუთი,

ახალი ზღვის პირველი ტალღები

თიანეთი. (ხაკ. კორ.). ეს იყო მიმდინარე წლის 5 მარტს. სოფმშენის წყალსაცავის კაშხალთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. დადგა საზეიმო წუთი. დამსწრეთა ტაშის გრიალში ჩაუშვეს ფარი, რომელმაც ჩაკეტა მთის დაუდეგარი მდინარე ოირი.

მას შემდეგ მხოლოდ ორიოდე თვე გავიდა, და იმ ადგილას, სადაც იერის რიყიანი იყო, ახლა საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ზღვის — სიონის წყალსაცავის პირველი ტალღები ღელავს. როგორც თიანეთიდან გვაცნობეს, წყლის დონემ 38 მეტრი აიწია.

ახლა ზღვის ნაპირებზე ყოველთვის დიდი გამოცოცხლეაა, განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოდის კვირადღეობით. ადამიანები ტკბებიან შესანიშნავი სანახაობით. გაიელის დრო და ამ ადგილებში გაშენდება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები.

ყაზანლიყის ვარდი

თელავი. (ტელეფონით). წელს თელაველი მშრომელები ნაყოფიერად მუშაობენ ყაზანლიყის ვარდის მოსავლიანობის გასადიდებლად. დაწნეურდა ნაფარეულის ეთერზეთოვანი ქარხანა. აქ გაშენებული აქვთ 31 ჰექტარი ყაზანლიყის ვარდი, რასაც სარიმუშოდ უვლიან. ამ დღეებში დაიწყება მოსავლის აღება. ჰექტარზე მოსალოდნელია 9-10 ტონამდე ვარდის მიღება. ქარხანა ყოველმხრივ მომზადებული ხვდება ახალი მოსავლის მიღებას.

ყაზანლიყის ვარდის კრეფას ამ დღეებში შეუდგებიან აგრეთვე სოფლების ართანის, სანიორის კოლმეურნეობები.

ლიტვის კულტურის კვირეული

საქართველოს დედაქალაქში დაიწყო ლიტვის კულტურის კვირეული. კვირეულში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ლიტვის სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მ. პოკარსკასი.

თბილისის საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია ლიტვის ფიგნის, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენამ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა. დღეს საზეიმო ვითარებაში დაიწყო ლიტვური ფილმების კინოფესტივალი. კინოფესტივალის გახსნაზე რუსთაველის სახელობის კინოთეატრში შეიკრიბნენ ქართული ხელოვნების, ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწენი, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენელნი.

ლიტველ სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ლიტვის კულტურის კვირეული ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, მრავალფეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის ურღვევი გამოვლინებაა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლიტვის სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. პოკარსკასმა. მან ილაპარაკა ჩვენი ხალხების მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაზე, რომლებიც დღითიდღე განამტკიცებენ ურთიერთობას და ამდიდრებენ ერთმანეთის სულიერ კულტურას.

ფესტივალის დღეებში თბილისელები გაეცნობიან ლიტველ კინემატოგრაფოსტთა საუკეთესო ნაწარმოებებს — მხატვრულ ფილმებს „ნაბიჯები ღამეში“, „ოცხონი“ და დოკუმენტურ ფილმებს „სმოლერის სიმაღუე“, „საბჭოთა ლიტვა“, „ოცნება და ბედი“, „ნუ გეწყინება, ვირგინიუს“. (საქდესი).

„ვისაუბროთ ფრანგულად“

ტურისტული საგზურებით ყოველწლიურად საქართველოს ბევრი წარმომადგენელი მიემგზავრება უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში. და ყოველთვის, სადაც უნდა იყოს ტურისტი, სახურველია იცოდეს იქაური თუნდაც სასაუბრო ენა, რათა კიდევ უფრო გაადიდრდეს მისი შთაბეჭდილებანი. ამ მხრივ მათთვის სასარგებლო დახმარების გაწევა შეუძლია სასაუბრო ლექსიკონებს.

სწორედ ამ მიზანს ისახავდა საბჭოთა მწერალთა გამომცემლობა „ნაკადული“, როდესაც გამოსცა დოცენტ ლამარა გეგეჭკორის მეტად პრაქტიკული ნაშრომი „ვისაუბროთ ფრანგულად“.

წიგნში გათვალისწინებულია ყველა პრაქტიკული კითხვა-პასუხი, დიალოგები და ცალკეული დასახელებანი. წიგნი საჭირო დახმარებას გაუწევს მოგზაურობის დროს იმათ, ვინც სუსტად ან სრულებით არ იცის ფრანგული ენა.

ყველა ფრაზა წიგნში ტრანსკრიპცირებულია ქართული ასოებით.

საბჭოთა საქართველოში

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვაცნობებენ

გულითადი მეგობროგით

ზორს არის ქუთაისიდან პოლონეთის ქალაქი გლივიცე, მაგრამ, როგორც იტყვიან, მეგობრობამ მანძილი არ იცის.

ამ ორი თვის წინათ საქალაქო გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში ქ. გლივიცედან მოვიდა ახალგაზრდა პოლონელი მეშახტის ჰენრიხ დოლიუკის წერილი.

ავტორი რედაქციას ატყობინებდა, რომ იგი მუშობს შახტში და ამავე დროს სწავლობს ლიცეუმში. მისი სურვილია საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდეს უნივერსიტეტში ქართველოლოგიის სპეციალობაზე. ამიტომაც სურს შეისწავლოს ქართული ენა, გაეცნოს ქართველი ხალხის კულტურას.

ჰ. დოლიუკი რედაქციას სთხოვდა დახმარებას ქართველ ახალგაზრდებთან მეგობრული კავშირის დამყარებაში.

ბარათის მიღებისას რედაქციაში იმყოფებოდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტი ალექსანდრე გუგუცაძე. ქართველმა სტუდენტმა გადწყვეტა მეგობრობის ხიდი გადოს პოლონელ მეშახტესთან.

და აი გლივიცეში გაიგზავნა პირველი წერილი. ქუთაისელი ჭაბუკი სიხარულით ატყობინებდა მეგობარს, რომ საქართველოში გამოვიდა ლიტერატურული კრებული „ქართველი პოეტები პოლონეთს“, სწერდა პოლონელი და ქართველი ხალხის მტკიცე მეგობრობაზე. მანვე აღუთქვა დახმარება ქართული ენის შესწავლაში.

მალე გლივიცედან მოვიდა ჰ. დოლიუკის საპასუხო წერილი. პოლონელი ჭაბუკი თავის შორეულ მეგობარს უზიარებს საქართველოდან მიღებული პირველი წერილით გამოწვეულ უდიდეს სიხარულს და სთხოვს ყოველ წერილში გაიცნოს მას რომელიმე გამოჩენილი ქართველი მოღვაწის — პოეტის, მეცნიერის, მსახიობის, მხედართმთავრის, სპორტსმენის ბიოგრაფია.

ახლახან ქუთაისელმა სტუდენტმა ა. გუგუცაძემ მეორე წერილი გაუგზავნა პოლონელ მეგობარს.

ქართველი სტუდენტი ჰ. დოლიუკს სთხოვს თავის მხრივ დაეხმაროს მას პოლონური ენის შესწავლაში.

ასე დამყარდა პოლონელი მეშახტისა და ქართველი სტუდენტის გულთბილი მეგობრობა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: კუბელები რუსთაველის მუსიკალურ სასწავლებელში.

ფოტო ა. კულენკოვისა.

ქართული ვაზი კუბაშიც გაიხარებს

გიორგი ნურკვამ — რუსთავის № 8 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა საუბარი ასე დაიწყო:

—75 კუბელი ახალგაზრდა ეუფლება ჩვენს სკოლაში სოფლის მეურნეობის სპეციალობებს. შესანიშნავი ბიჭები არიან. თვითონვე შემოიღეს დღის ასეთი რეჟიმი — ქალაქში გასვლა, გასეირნება მხოლოდ შაბათსა და კვირას. დანარჩენ დღეებში სხედან და თავაუღებლივ მეცადინეობენ.

...ზარი დაირეკა. კუბელებმა მერხებთან თავიანთი ადგილები დაიკავეს. რუსული ენის გაკვეთილს იწყებს პედაგოგი ლევან მამალაძე. ოთხი თვის წინ იგი მთარგმნელის საშუალებით გადასცემდა გაკვეთილს. ახლა მთარგმნელი აღარ სჭირდებათ. მოსწავლეებმა რუსული ენა ისწავლეს, მასწავლებელმა — ესპანური.

დაფასთან გამოდიან კუბელი მოსწავლეები, აუჩქარებლად, გარკვევით ლაპარაკობენ.

ნერეო გონსალესმა ისე, როგორც სხვა კუბელებმა, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდა. ახლა იგი გამართულად ლაპარაკობს თუნდაც რუსული ენის გრამატიკის საკითხებზე. შესანიშნავად, უშეცდომოდ აბრუნებს სიტყვებს, აუღლებს ზმნებს. წაუკითხავს ნ. ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

სკოლის ეზოში რომ შეხვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს რამდენიმე ძირი ვაზი.

საქართველო — კუბა

— ეს კუბელმა ახალგაზრდებმა დარგეს და გაახარეს, — მითხრეს იქ.

რა კავშირი აქვს კუბას ვაზთან?

75 კუბელი ახალგაზრდდან 20 კუბელი აქ ჩამოსულია იმისათვის, რომ შეისწავლოს მევენახეობა და განავითაროს იგი თავის ქვეყანაში.

— იცნობენ კი ამ კულტურას კუბაში? — ვეკითხები ორესტო ლორენსოს — მევენახეობის ჯგუფის ხელმძღვანელს.

— კუბა თავისი ბუნებრივი პირობებით ძალიან წაგავს საქართველოს. ამ ბოლო ხანებში ვენახების გაშენება დაიწყეს კერძო პირებმა. მიუხედავად იმისა, რომ კუბელებს ვენახის მოვლა-პატრონობის პრაქტიკული ცოდნა არა აქვთ, ვაზი კარგ შედეგს იძლევა, პერსპექტიულ კულტურად არის მიჩნეული. ვფიქრობთ, სამამულო მევენახეობის განვითარებაში გარკვეულ წვლილს შეიტანთ ჩვენც. კუბელები, რომლებიც აქ, მევენახეობის მდიდარ ქვეყანაში გავდივართ მეტად ნაყოფიერ პრაქტიკას.

კუბელი ახალგაზრდები საქართველოში მაშინ ჩამოვიდნენ, როცა რთველი იყო გაჩაღებული. სკოლის დირექციამ შესანიშნავად გამოიყენა ეს მომენტი და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად წაიყვანა კუბელები გარდაბნის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა კუბელმა ყურძენი მაშინ ნახა პირველად. აქედან მოყოლებული კუბელი მოსწავლეები სისტემატურად იმყოფებიან ვენახების ფართობებში და დიდი ინტერესით სწავლობენ ვაზს.

მევენახეობის გარდა რას სწავლობენ კუბელები?

55 კუბელი ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების შემკეთებელი ზეინკლების პროფესიას გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

— ჩვენ, თვითეულ კუბელს, — თქვა დამშვიდობებისას ორესტო ლორენსომ, — გადაწყვეტილი გვაქვს საქართველოდან წავიღოთ თითო ძირი ვაზი და გავახაროთ იგი ქართველი და კუბელი ხალხის დიადი მეგობრობის ნიშნად. დაე იხაროს მეგობრობის ვაზმა!

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: კუბელები ფოთლებს ირჩენენ.

ფოტო ა. კულენკოვისა.

ზაფხლის ჟურნალი



მუდამ ცხოვრების მახარდამხარ

საგაზაფხულო დღესასწაულთა შორის ერთ-ერთ სასიხარულო მოვლენად დამკვიდრდა მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში „მხატვრის კვირეული“. ამ დღეების მოახლოება უპირველეს ყოვლისა წარსულის ფურცლებს გადაშლის ხოლმე თვითეული ჩვენგანის ცნობიერებაში: საბჭოთა ქვეყნის დაბადების პირველი დღეები, გრანდიოზული გეგმებისა და წინასწარდასახულობათა ეპოქის დასაწყისი... უკვე მაშინ, ახალი სახელმწიფოს შენების გარიჟრაჟზე, 1918 წელს, ლენინის „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმა საძირკვლად დაედო ახალი, სოციალისტური სახვითი ხელოვნების დაბადებას.

დღეს, როცა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებამ მხატვრული შემოქმედების დიდ სიმაღლეებს მიაღწია, როცა იგი მთელი ხალხის მაღალ შეფასებას იმსახურებს, უიდეობისა და მანკიერი ტენდენციების ცალკეულ გამოვლინებებს პარტიისა და მთელი საზოგადოებრიობის სამართლიანი მკაცრი დაგმობა ხვდა.

საქართველოს მხატვართა მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა და უკანასკნელი რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეს დიდად ნიჭიერი კოლექტივი რეალიზმის ერთგული იყო და არის. იგი აერთიანებს მკაფიო ინდივიდუალობის მრავალ შემოქმედ როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთაგან, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებას.

თანამედროვეობის გრძნობა, ღრმა იდეურობა, ეროვნული ფორმის ძიება და მეშმარიტად მაღალი პროფესიონალიზმი განაპირობებს ქართველი მხატვრების შემოქმედების ფართო აღიარებას ხალხის თვალში. ამ აღიარებას და ხალხის დიდ ინტერესს სახვითი ხელოვნებისადმი მოწმობს ჩვენი სამხატვრო გამოფენები — რესპუბლიკური, ჯგუფური თუ ინდივიდუალური, რომლებიც ყოველთვის უხვად იზიდავენ მნახველებს. და თუ ჩვენი ხალხი აქა-იქ ხანდახან წაყწყდება ხოლმე არაფრის მოქმელ „ფოკუსებს“ და მანჭვა-გრეხას, მას უკვე აქვს იმის უნარი, რომ გაარჩიოს ნამდვილი ხელოვნება სუროგატისაგან, ყალბი ორიგინალობისა და ხალტურისაგან.

„მხატვრის კვირეულის“ დღეებში (12-დან 19 მაისამდე) ჩვენი სახელოვანი შემოქმედნი კვლავ შეხვდებიან თავიანთი ნიჭის პატივისმცემლებსა და დამფასებლებს, იმათ, ვის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც საარსებო მნიშვნელობის წყაროდ არის შეჭრილი ჭეშმარიტი, მაღალი ხელოვნება, ვის ცხოვრებასაც ალამაზებს, შინაარსს მატებს, ამდიდრებს და სულიერად ამაღლებს ჩვენი ფერმწერლების, გრაფიკოსების, მოქანდაკეებისა და კერამიკოსების შესანიშნავი ქმნილებები.

ლ. თაგუკაშვილი.

სახელოვანი გზა

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გ. დავითაშვილის იუბილესათვის

10 ივნისს აღინიშნება საბჭოთა სცენის თვალსაჩინო ოსტატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის **გ. მ. დავითაშვილის** დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი. გაიმართა იუბილეს მომწყობი კომისიის სხდომა.

გ. დავითაშვილის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა თეატრის დაარსება. იგი იყო სცენის ენთუზიასტთა რიცხვში, რომლებიც შეკავშირდნენ გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორების კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის გარშემო.

გ. დავითაშვილი — პეტერბურგის თეატრალური სასწავლებლის აღზრდილი — მუშაობდა რუსეთის პროვინციის თეატრებში. 1921 წელს იგი პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე, მალე გახდა რუსთაველის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობი, სადაც შეასრულა მრავალი მთავარი როლი, მათ შორის მინდია, „შეტბე ლავრენევის „რღვევაში“, ანზორი ფრანც მოორი, ბოგდან ხმელნიცკი, პლატონ კრეჩეტი, ოთარ-ბეგი ნეზნამოვის და სხვა.

10 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართება გ. მ. დავითაშვილის საიუბილეო საღამო. აქვე გაისნება მსახიობის შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

თეატრალური ინსტიტუტი აწყობს შემოქმედებითს შეხვედრას გ. დავითაშვილთან.

საიუბილეო საღამო გაიმართება აგრეთვე ბათუმში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა იუბილარმა.

გამოშვებულ იქნება მონოგრაფია და ბუკლეტი გ. დავითაშვილის შემოქმედების შესახებ.

საიუბილეო კომისიის შემადგენლობაში არიან საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე კ. ფალავანდიშვილი (თავმჯდომარე), თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე (მდივანი), სსრ კავშირის სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე, ა. ხორავა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები თ. ჭავჭავაძე, ს. თაყაიშვილი, დ. ანთაძე, ვ. ტაბლიაშვილი, დ. ალექსიძე, მ. ხინიკაძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ეგაძე, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი ხ. ბერულავა და სხვები.

(საქდესი).

სიმღერა სიყვარულზე

რუსული ესტრადის გამოჩენილ მოღვაწეთა პლეადაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ „მცირე ხელოვნების“ დიდ ოსტატს რესპუბლიკის სახალხო არტისტს **კლავდია შულჟენკოს.**

„სიმღერები სიყვარულზე“ — ასეთი სახელწოდება აქვს საკონცერტო პროგრამას, რომლითაც კლავდია შულჟენკო ამჯერად საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისში.

უყვართ, ძალიან უყვართ თბილისელებს კლავდია შულჟენკო! ბევრი კარგი სიმღერა შეასრულა მან თავისი ფართო რეპერტუარიდან და არიცი, რომელს მისცე უპირატესობა — ფრადკინის გულშიჩამწვდომ ამბავს ჯარისკაცულ სიყვარულზე თუ მინცის გიუმაჟურ სიმღერას „მითხარ რამე სიყვარულზე“, ფოგოტკინის ნაღვლიან ბალადას ძველ მეგობარზე თუ მზით გასხივოსნებულ ულ. ტემპერამენტულ იტალიურ სიმღერებს...

მთავარია ის, რომ კლავდია შულჟენკომ საესტრადო კამერულ ჟანრში შექმნა საკუთარი, „შულჟენკოსებური“ სტილი, რომ სიმღერაში ადამიანის სულიერი განცდების გადმოცემაში მის ვოკალურ პალიტრაზე უსაზღვროა ფერთა სიმრავლე.

განა შესრულების იშვიათ დიაპაზონზე არ მეტყველებს ცფასმანის ცნობილი სიმღერა „სამი ვალსი“, რომელშიც ქ. შულჟენკო ასე სახოვნად გადმოსცემს შეყვარებულთა გრძნობებს.

განსაკუთრებული მოწონება ჰქონდა ლირიკულ და სიუჟეტურ იტალიურ სიმღერებს („ბიჭი და ვიოლინო“, „არც ჰო და არც არა“, „სული და გული“) და ნარნარ „ხელებს“.

მომღერალს წარმატებას დიდად უწყობს ხელს პიანისტი ბ. მანდრუსი, რომელიც თავისი მოხდენილი და კორექტული აკომპანემენტით საუკეთესო პარტნიორობას უწევს კ. შულჟენკოს.

კარგად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა აგრეთვე ამ კონცერტში მონაწილე და-ძმა ბალაბანები (ინტერმედიები) და მეტად ორიგინალური მსახიობები ტ. ლემანი და ს. რუსანოვი (საკონცერტო ხუმრობა).

ს. ფანიანელი.

სურათზე: კლავდია შულჟენკო. როიალთან ბ. მანდრუსი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლიტერატურული ფურცელი

ცვსკ თუ „დინამო“?

წყალგურთელთა რვა უძლიერესი კოლექტივი განაგრძობს საკავშირო ტურნირის დასკვნითს ასპარეზობას. გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ყურადღებას იპყრობდა სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და გამაშების ლიდერის ცსკა-ს გუნდების თამაში. პირველ პერიოდში მეტოქეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. არმიელთათვის ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა მეორე და მესამე პერიოდი. მათ ამ პერიოდებში თითო ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ჩემპიონმა მეორე დამარცხება განიცადა.

საკავშირო პირველობის პრიზიორი თბილისის „დინამო“ გუშინ თამაშობდა მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ წყალბურთელთა წინააღმდეგ. აქ თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ 5:1.

დანარჩენ ორ შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე 2:2, 4:4. ეს მატჩებია „დინამო“ (ლვოვი) - „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) და „დინამო“ (კიევი) - „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

ამრიგად, წინ არის ცსკა-ს გუნდი, რომელსაც 6 ქულა აქვს. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება თბილისის „დინამო“ და მეორე ადგილზე იმყოფება.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები.

საკითხი თითქმის გადაწყვეტილია

მოსკოვი, 15 მაისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მეოცე პარტიის წინ მსოფლიოს ჩემპიონის გულშემატკივრებს კვლავ ჰქონდათ იმედი, რომ იგი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა გაემართა ბრძოლა თავისი წოდების შესანარჩუნებლად. დასაწყისში, სადაც პრეტენდენტმა ისევე ლაზიერის მიღებული გამბიტი გაითამაშა, თითქოს ეს იმედი მართლდებოდა. ბოტვინიკმა გამოიყენა ახალი გაგრძელება და რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ რაიმე რეალურ უპირატესობას მან ვერ მიაღწია. პეტროსიანმა თანდათანობით გააააქტიურა თავისი ფიგურები და მალე შანსებიც სავსებით გაათანაბრა. 22-ე სვლაზე მან ყაიმი შესთავაზა მსოფლიოს ჩემპიონს, რაც მიღებულ იქნა. ანგარიში გახდა 11,5:8,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

ის ფაქტი, რომ ბოტვინიკმა ხელი აიღო „უკანასკნელი ბრძოლის“ ცდაზე, მეტყველებს მატჩის დასასრულის მოახლოებაზე. მართლაც და, განა შესაძლებელია დარჩენილი ოთხი შეხვედრიდან ბოტვინიკმა მოიგოს სამი, როდესაც აქამდე ოცდან მხოლოდ ორი მოიგო?

ხვალ და ზეგ მატჩის მონაწილენი ისვენებენ. მორიგი მეოცდაერთე პარტია გაიმართება შაბათს, 18 მაისს.

ა. კოტოვი,
გროსმაისტერი.



ანგარიში კვლავ თანაბარია

გუშინ დილით გაიმართა მოსკოვისა და თბილისის მოჭადრაკე ქალთა მატჩ-ტურნირის უკანასკნელი მეექვსე ტური.

გაფრინდაშვილმა კომბინაციური დარტყმით აიძულა პოსტნიკოვა შეეწყვიტა წინააღმდეგობა. მოსკოველებმაც მალე აიღეს რევანში — ო. რუბცოვამ პაიკების ენდშპილში მოგებამდე მიიყვანა მატერიალური უპირატესობა ივანოვასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ბუცხრიკიძე და კუშნირი. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

საღამოს გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩაიკოვსკაიამ ორი პაიკი მოიგო ეტლების ენდშპილში ივანტიევასთან და თავის გუნდს კიდევ ერთი ქულა შესძინა. ბელავენეც-გოგიავას შეხვედრაში გოგიავამ მოულოდნელად უხეში შეცდომა დაუშვა და წააგო. ორი პარტია არ გათამაშებულა.

ჯერჯერობით ანგარიშია 25:25. მატჩ-ტურნირის ბედს გადაწყვეტს ორი გადადებული პარტია, რომელიც დღეს უნდა დამთავრდეს.

ფინალშია შვიდეული

რიო-დე-ჟანეირო, 15 მაისი. (საქდესის კორ.). დამთავრდა კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ასპარეზობა. გამოვლინდა ექვსი გუნდი, რომლებიც ფინალში გავიდნენ. დასკვნითი შეხვედრები დაიწყება 16 მაისს რიო-დე-ჟანეიროში, სადაც სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, იუგოსლავიისა და პუერტო-რიკოს გუნდებს შეუერთდებიან ბრაზილიელი სპორტსმენები.

ფინალური შეჯიბრება 25 მაისამდე გაგრძელდება და ერთ წრედ ჩატარდება.

შეჯიბრების მესამე დღის შედეგები ასეთი იყო:

„ა“ ჯგუფი (ბელუ-ორიზონტი): სსრ კავშირი-ურუგვაი — 94:75 (38:30), საფრანგეთი-კანადა — 79:57 (28:25).

„ბ“ ჯგუფი (სან-პაულუ): მექსიკა-არგენტინა — 84:82 (43:53), ამერიკის შეერთებული შტატები - იტალია — 87:77 (42:34).

„გ“ ჯგუფი (კურიტიბა): იაპონია-პერუ — 70:50 (30:27), იუგოსლავია-პუერტო-რიკო — 83:78 (42:35).

პირველი ნახევრის შემდეგ

გუშინ მერვე ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებით დასრულდა საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა და მოწვეული ოსტატების შეჯიბრების პირველი ნახევარი.

კიდევ უფრო განმტკიცდა ლიდერის — შამკოვიჩის სატურნირო მდგომარეობა. მას ეტლი აკლდა კალატოზიშვილთან, მაგრამ სამაგიეროდ აამოძრავა ძლიერი გამსვლელი პაიკები ცენტრში. კალატოზიშვილმა ვერ შეძლო ამ პაიკების შეკავება და წაგო.

ჩიქოვანმა, რომელსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა ბლაგიძესთან, ეს უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. ყაიმზე შეთანხმდნენ თხელიძე და ბერაძე.

გათამაშდა აგრეთვე გურგენიძე-ტოლუშის გამოტოვებული პარტიაც. გურგენიძემ ორი ფიგურა მოიგო ეტლში, ხოლო შემდეგ კომბინაციური დარტყმით აიძულა მეტოქე შეეწყვიტა წინააღმდეგობა.

8 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერია შამკოვიჩი (7 ქულა).

გათამაშების ცხრილი შესვენებამდე

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 16 მაისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	5	4	0	11—1	14
„ნეფტჩანიკი“ (ბ.)	6	1	2	10—6	13
„სპარტაკი“ (მ.)	5	2	2	18—10	12
ცსკა	6	6	0	7—2	12
სკა (როსტ.)	4	3	2	13—6	11
„დინამო“ (კ.)	4	3	2	12—8	11
„დინამო“ (თბ.)	4	3	2	11—7	11
„დინამო“ (მნ.)	3	5	1	12—10	11
„ლოკომოტ“. (მ.)	2	6	0	7—4	10
„ტორპედო“ (ქ.)	2	5	2	7—7	9
„შახტიორი“ (დ.)	3	3	3	5—6	9
„კაირატი“ (ალ.)	4	1	4	9—11	9
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	3	2	4	10—8	8
„ზენიტი“ (ლ.)	3	2	3	13—15	8
„ავანგარდი“ (ხ.)	3	2	4	7—9	8
„ტორპედო“ (მ.)	3	1	5	9—15	7
„მოლდოვა“ (კიშ.)	0	6	3	3—9	6
„არარატი“ (ერ.)	1	2	6	8—16	4
„პახტაკორი“ (ტ.)	1	1	7	6—15	3
„დინამო“ (ლ.)	0	2	7	3—16	2

მეგობრობის ველორბოლა

ამიერკავკასიის გზატკეცილებზე დამთავრდა მეგობრობის ველორბოლა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდების მონაწილეობით. ველორბოლის ფინიში შედგა ერევანში.

გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი იყო აზერბაიჯანის ველოსრბოლთა კოლექტივი: საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა, სომხეთისა — მესამეზე. პირად შეჯიბრებაში კვლავ გამარჯვა ე. ბირიუკოვმა.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ. ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნ. ერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილ ებისა — 9-73-24, ილუსტრაციათ — 3-20-43, განცხადებებისა — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲪ 05936

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.